

სს სადაზღვევო კომპანია პრაიმი

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2025 წლის 31 დეკემბერთან დასრულებული წლისთვის

ინგლისური ორიგინალის თარგმანი

სარჩევი

| | |
|---|----|
| 2025 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება..... | 4 |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით..... | 5 |
| 2025 წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება..... | 6 |
| 2025 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება..... | 7 |
| ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები | 8 |
| 1. ზოგადი ინფორმაცია | 8 |
| 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა | 8 |
| 3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და სააღრიცხვო შეფასებების გაურკვევლობის ძირითადი წყაროები | 24 |
| 4. სადაზღვევო ამონაგები და გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული შემოსავალი..... | 26 |
| 5. სადაზღვევო მომსახურების ხარჯები და გადაზღვევის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯები..... | 28 |
| 6. წმინდა ფინანსური შემოსავალი..... | 30 |
| 7. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი..... | 30 |
| 8. ფული და ფულის ექვივალენტები..... | 31 |
| 9. საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები | 31 |
| 10. გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები | 33 |
| 11. სხვა აქტივები | 35 |
| 12. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები..... | 35 |
| 13. ძირითადი საშუალებები | 37 |
| 14. ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან | 38 |
| 15. სხვა ვალდებულებები..... | 40 |
| 16. სააქციო კაპიტალი | 40 |
| 17. მოგების გადასახადის ხარჯი | 40 |
| 18. რისკის მართვა..... | 40 |
| 19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან..... | 52 |
| 20. პირობითი ვალდებულებები..... | 53 |
| 21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები..... | 54 |

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმის“ აქციონერებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმის“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს იძლევა ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები - შესადარისი მონაცემები

კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარებულ იქნა ჩვენ მიერ, და ჩვენ გამოვთქვით პირობითი მოსაზრება აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, ვინაიდან ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება სამართლებრივი დავების სააღრიცხვო შეფასებასთან დაკავშირებით.

მიმდინარე წელს ხელმძღვანელობამ განახორციელა ყველა სამართლებრივი დავის დეტალური შეფასება ბასს 37-ის - „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ - შესაბამისად, და სათანადოდ აღიარა ანარიცხები და გაამჟღავნა პირობითი ვალდებულებები. ჩვენ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, მათ შორის, ხელმძღვანელობის განცხადებები და დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რათა დავრწმუნებულიყავით ამ საკითხთან დაკავშირებული სააღრიცხვო შეფასების სისწორეში. შესაბამისად, ჩვენი მოსაზრება მიმდინარე წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ არის მოდიფიცირებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2025 წლის მმართველობის ანგარიშში, რომელიც მოვიპოვეთ აუდიტორის დასკვნის თარიღამდე.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდებთ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდებთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ABC კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშ გების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს არესემ საქართველოს (Reg. # SARAS-F-279563) სახელით

გარიგების პარტნიორი: ალი მურტუა (Reg. # SARAS-A-577214)

2025 წლის 31 მარტი

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმის“ აქციონერებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმის“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს იძლევა ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები - შესადარისი მონაცემები

კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარებულ იქნა ჩვენ მიერ, და ჩვენ გამოვთქვით პირობითი მოსაზრება აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, ვინაიდან ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება სამართლებრივი დავების სააღრიცხვო შეფასებასთან დაკავშირებით.

მიმდინარე წელს ხელმძღვანელობამ განახორციელა ყველა სამართლებრივი დავის დეტალური შეფასება ბასს 37-ის - „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ - შესაბამისად, და სათანადოდ აღიარა ანარიცხები და გაამჟღავნა პირობითი ვალდებულებები. ჩვენ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, მათ შორის, ხელმძღვანელობის განცხადებები და დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რათა დავრწმუნებულიყავით ამ საკითხთან დაკავშირებული სააღრიცხვო შეფასების სისწორეში. შესაბამისად, ჩვენი მოსაზრება მიმდინარე წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ არის მოდიფიცირებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2025 წლის მმართველობის ანგარიშში, რომელიც მოვიპოვეთ აუდიტორის დასკვნის თარიღამდე.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება

თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა ABC კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშ გების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.


მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს არესემ საქართველოს (Reg. # SARAS-F-279563) სახელით

გარიგების პარტნიორი: ალი მურტუა (Reg. # SARAS-A-577214)

2025 წლის 31 მარტი

თბილისი, საქართველო

Rsm Georgia


სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

2025 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

| | შენიშვნა | 2025 | 2024 |
|--|----------|--------------------|--------------------|
| სადაზღვევო ამონაგები | 4 | 11,462,853 | 11,407,915 |
| სადაზღვევო მომსახურების ხარჯები | 5 | (8,945,450) | (10,375,205) |
| სადაზღვევო მომსახურების შედეგი გადაზღვევამდე | | 2,517,403 | 1,032,710 |
| გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული შემოსავალი | 4 | 3,367,279 | 3,493,111 |
| გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ხარჯები | 5 | (5,204,807) | (4,828,421) |
| წმინდა გადაზღვევის ხარჯები | | (1,837,528) | (1,335,310) |
| გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი | | 679,875 | (302,600) |
| წმინდა ფინანსური შემოსავალი | 6 | 429,157 | 490,405 |
| კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი) | | (290,694) | 215,018 |
| საპროცენტო ხარჯი | | (12,997) | (20,655) |
| წმინდა ფინანსური შედეგი | | 125,466 | 684,768 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი | 7 | (215,193) | 13,804 |
| მოგება დაბეგრამდე | | 590,148 | 395,972 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | 17 | - | - |
| წმინდა მოგება | | 590,148 | 395,972 |
| სხვა სრული შემოსავალი | | - | - |
| წლის სრული შემოსავალი | | 590,148 | 395,972 |

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2026 წლის 31 მარტს.

მარეხი გურული
გენერალური დირექტორი

სოფიკო ეფენია
ფინანსური დირექტორი

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

2025 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

| | შენიშვნა | 2025 | 2024 |
|--|----------|--------------------|--------------------|
| სადაზღვევო ამონაგები | 4 | 11,462,853 | 11,407,915 |
| სადაზღვევო მომსახურების ხარჯები | 5 | (8,945,450) | (10,375,205) |
| სადაზღვევო მომსახურების შედეგი გადაზღვევამდე | | 2,517,403 | 1,032,710 |
| გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული შემოსავალი | 4 | 3,367,279 | 3,493,111 |
| გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ხარჯები | 5 | (5,204,807) | (4,828,421) |
| წმინდა გადაზღვევის ხარჯები | | (1,837,528) | (1,335,310) |
| გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი | | 679,875 | (302,600) |
| წმინდა ფინანსური შემოსავალი | 6 | 429,157 | 490,405 |
| კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი) | | (290,694) | 215,018 |
| საპროცენტო ხარჯი | | (12,997) | (20,655) |
| წმინდა ფინანსური შედეგი | | 125,466 | 684,768 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი | 7 | (215,193) | 13,804 |
| მოგება დაბეგვრამდე | | 590,148 | 395,972 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | 17 | - | - |
| წმინდა მოგება | | 590,148 | 395,972 |
| სხვა სრული შემოსავალი | | - | - |
| წლის სრული შემოსავალი | | 590,148 | 395,972 |

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2026 წლის 31 მარტს.

მარეზი გურული
გენერალური დირექტორი

სოფიკო ეფენია
ფინანსური დირექტორი

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| | შენიშვნა | 31 დეკემბერი 2025 | 31 დეკემბერი 2024 |
|---|----------|-------------------|-------------------|
| აქტივები | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 8 | 573,379 | 327,593 |
| საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები | 9 | 8,532,353 | 9,217,893 |
| გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები | 10 | 1,213,626 | 1,503,478 |
| სხვა აქტივები | 11 | 394,608 | 475,070 |
| აქტივის გამოყენების უფლება | 12 | 917,006 | 867,110 |
| არამატერიალური აქტივები | | 87,450 | 65,522 |
| ძირითადი საშუალებები | 13 | 410,049 | 409,618 |
| სულ აქტივები | | 12,128,471 | 12,866,284 |
| კაპიტალი და ვალდებულებები | | | |
| კაპიტალი | | | |
| სააქციო კაპიტალი | 16 | 15,490,640 | 15,490,640 |
| გადაფასების რეზერვი | | 132,983 | 132,983 |
| გაუნაწილებელი მოგება | | (6,541,140) | (7,131,288) |
| სულ კაპიტალი | | 9,082,483 | 8,492,335 |
| ვალდებულებები | | | |
| ვალდებულებები სადაზღვეო კონტრაქტებიდან | 14 | 1,672,131 | 2,815,321 |
| საიჯარო ვალდებულებები | 12 | 911,876 | 915,708 |
| სხვა ვალდებულებები | 15 | 461,981 | 642,920 |
| სულ ვალდებულებები | | 3,045,988 | 4,373,949 |
| სულ კაპიტალი და ვალდებულებები | | 12,128,471 | 12,866,284 |

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2026 წლის 31 მარტს.

მარეხი გურული
გენერალური დირექტორი

სოფიკო ეფენია
ფინანსური დირექტორი

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“


ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| | შენიშვნა | 31 დეკემბერი 2025 | 31 დეკემბერი 2024 |
|---|----------|-------------------|-------------------|
| აქტივები | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 8 | 573,379 | 327,593 |
| საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები | 9 | 8,532,353 | 9,217,893 |
| გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები | 10 | 1,213,626 | 1,503,478 |
| სხვა აქტივები | 11 | 394,608 | 475,070 |
| აქტივის გამოყენების უფლება | 12 | 917,006 | 867,110 |
| არამატერიალური აქტივები | | 87,450 | 65,522 |
| ძირითადი საშუალებები | 13 | 410,049 | 409,618 |
| სულ აქტივები | | 12,128,471 | 12,866,284 |
| კაპიტალი და ვალდებულებები | | | |
| კაპიტალი | | | |
| სააქციო კაპიტალი | 16 | 15,490,640 | 15,490,640 |
| გადაფასების რეზერვი | | 132,983 | 132,983 |
| გაუნაწილებელი მოგება | | (6,541,140) | (7,131,288) |
| სულ კაპიტალი | | 9,082,483 | 8,492,335 |
| ვალდებულებები | | | |
| ვალდებულებები სადაზღვეო კონტრაქტებიდან | 14 | 1,672,131 | 2,815,321 |
| საიჯარო ვალდებულებები | 12 | 911,876 | 915,708 |
| სხვა ვალდებულებები | 15 | 461,981 | 642,920 |
| სულ ვალდებულებები | | 3,045,988 | 4,373,949 |
| სულ კაპიტალი და ვალდებულებები | | 12,128,471 | 12,866,284 |

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2026 წლის 31 მარტს.


 მარეხი გურული
 გენერალური დირექტორი


 სოფიკო ეფენია
 ფინანსური დირექტორი

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

2025 წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

| | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | გადაფასების რეზერვი | სულ კაპიტალი |
|--------------------------|-----------------------|-------------------------|------------------------|------------------|
| 31 დეკემბერი 2023 | 15,490,640 | (7,527,260) | 132,983 | 8,096,363 |
| წლის სრული შემოსავალი | - | 395,972 | - | 395,972 |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა | - | - | - | - |
| 31 დეკემბერი 2024 | 15,490,640 | (7,131,288) | 132,983 | 8,492,335 |
| წლის სრული შემოსავალი | - | 590,148 | - | 590,148 |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა | - | - | - | - |
| 31 დეკემბერი 2025 | 15,490,640 | (6,541,140) | 132,983 | 9,082,483 |

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2026 წლის 31 მარტს.

მარეზი გურული
გენერალური დირექტორი

სოფიკო ეფენია
ფინანსური დირექტორი

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“


ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

2025 წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

| | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | გადაფასების რეზერვი | სულ კაპიტალი |
|--------------------------|-----------------------|-------------------------|------------------------|--------------|
| 31 დეკემბერი 2023 | 15,490,640 | (7,527,260) | 132,983 | 8,096,363 |
| წლის სრული შემოსავალი | - | 395,972 | - | 395,972 |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა | - | - | - | - |
| 31 დეკემბერი 2024 | 15,490,640 | (7,131,288) | 132,983 | 8,492,335 |
| წლის სრული შემოსავალი | - | 590,148 | - | 590,148 |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა | - | - | - | - |
| 31 დეკემბერი 2025 | 15,490,640 | (6,541,140) | 132,983 | 9,082,483 |

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2026 წლის 31 მარტს


მარეხი გურული
გენერალური დირექტორი


სოფიკო იყბალია
ფინანსური დირექტორი

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

2025 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

| | 2025 | 2024 |
|--|------------------|------------------|
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან | | |
| მიღებული სადაზღვევო ამონაგები | 11,147,799 | 11,360,177 |
| გადახდილი სადაზღვევო მომსახურების ხარჯი | (8,043,664) | (8,663,969) |
| მიღებული გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული შემოსავალი | 70,453 | 3,118 |
| გადახდილი გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ხარჯები | (186,313) | (161,977) |
| მიღებული სხვა შემოსავალი | 143,946 | 158,955 |
| გადახდილი შრომის ანაზღაურება | (1,739,079) | (1,829,988) |
| გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა) | (718,123) | (729,407) |
| გადახდილი იჯარა | (50,402) | (79,339) |
| გადახდილი კონსულტანტების და აუდიტორების მომსახურება | (105,000) | (95,400) |
| გადახდილი საკომუნიკაციო ხარჯები | (56,041) | (54,954) |
| გადახდილი მარკეტინგის და რეკლამის ხარჯები | (12,266) | (18,444) |
| გადახდილი სხვა ხარჯები | (637,225) | (708,564) |
| წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან | (185,916) | (819,792) |
| ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან | | |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | (42,642) | (64,494) |
| საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები | 451,405 | (333,567) |
| დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტები | 422,922 | 599,132 |
| არამატერიალური აქტივების შეძენა | (38,920) | (17,400) |
| წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან | 792,765 | 183,672 |
| ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან | | |
| საიჯარო ვალდებულებების ძირის გადახდა | (290,730) | (175,767) |
| წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან | (290,730) | (175,767) |
| ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი | (70,333) | (77,294) |
| ფულადი სახსრების წმინდა ზრდა | 245,786 | (889,181) |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში | 327,593 | 1,216,774 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს | 573,379 | 327,593 |

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2026 წლის 31 მარტს.

მარეზი გურული
გენერალური დირექტორი

სოფიკო ეფენია
ფინანსური დირექტორი

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

2025 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

| | 2025 | 2024 |
|--|------------------|------------------|
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან | | |
| მიღებული სადაზღვევო ამონაგები | 11,147,799 | 11,360,177 |
| გადახდილი სადაზღვევო მომსახურების ხარჯი | (8,043,664) | (8,663,969) |
| მიღებული გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული შემოსავალი | 70,453 | 3,118 |
| გადახდილი გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ხარჯები | (186,313) | (161,977) |
| მიღებული სხვა შემოსავალი | 143,946 | 158,955 |
| გადახდილი შრომის ანაზღაურება | (1,739,079) | (1,829,988) |
| გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა) | (718,123) | (729,407) |
| გადახდილი იჯარა | (50,402) | (79,339) |
| გადახდილი კონსულტანტების და აუდიტორების მომსახურება | (105,000) | (95,400) |
| გადახდილი საკომუნიკაციო ხარჯები | (56,041) | (54,954) |
| გადახდილი მარკეტინგის და რეკლამის ხარჯები | (12,266) | (18,444) |
| გადახდილი სხვა ხარჯები | (637,225) | (708,564) |
| წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან | (185,916) | (819,792) |
| ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან | | |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | (42,642) | (64,494) |
| საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები | 451,405 | (333,567) |
| დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტები | 422,922 | 599,132 |
| არამატერიალური აქტივების შეძენა | (38,920) | (17,400) |
| წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან | 792,765 | 183,672 |
| ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან | | |
| საიჯარო ვალდებულებების ძირის გადახდა | (290,730) | (175,767) |
| წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან | (290,730) | (175,767) |
| ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი | (70,333) | (77,294) |
| ფულადი სახსრების წმინდა ზრდა | 245,786 | (889,181) |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში | 327,593 | 1,216,774 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს | 573,379 | 327,593 |

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2026 წლის 31 მარტს.

მარეხი გურული
გენერალური დირექტორი

სოფიკო ეფენია
ფინანსური დირექტორი

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

სს სადაზღვევო კომპანია პრაიმი (ს/კ 204540274) (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2007 წლის 4 ოქტომბერს. კომპანია იმართება სათაო ოფისიდან და აქვს ოთხი სერვისცენტრი ბათუმში, თელავში, ფოთსა და თბილისში. კომპანია ახორციელებს სადაზღვევო საქმიანობას. კომპანია ფლობს ორი სახის დაზღვევის ლიცენზიას: სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის პროდუქტებისთვის, რომლებიც გაცემულია დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, უნივერსიტეტის ქუჩა, N24, სართული 6, სადარბაზო 1, ოფისი N6.

2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის დამფუძნებელი და სააქციო კაპიტალის 95%-იანი წილის მფლობელია შპს „MERCURY EUROPE HOLDINGS“ (ს.ნ. B 165504, მისამართი: ემილი როიტერის გამზირი N11, L-2420, ლუქსემბურგი), ხოლო 5% წილს ფლობს სხვა არამაკონტროლებელი აქციონერი.

2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი პირი არის ალია ბაბაევა შპს „MERCURY EUROPE HOLDINGS“ მფლობელი (აზერბაიჯანი).

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) შესაბამისად, რაც წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (“ზასსკ”) მიერ გამოცემულ სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებს, რომლებიც ძალაშია 2025 წლის 31 დეკემბრისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგებასა და განმარტებით შენიშვნებს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლები წარმოდგენილია ლიკვიდურობის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში. ისტორიული ღირებულება ეფუძნება აქტივების სანაცვლოდ მიღებულ ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა რომლითაც აქტივი შეიძლება გაიცვალოს, ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე, გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილს“ პრინციპით განხორციელებულ ოპერაციაში. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების დასადგენად კომპანია მაქსიმალურად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება არ არის უშუალოდ დაკვირვებადი, ის შეფასებულია კომპანიის მიერ (კვალიფიციურ შემფასებელთან) შეფასების ტექნიკის გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად გაზრდის შესაბამისი დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებას და მინიმუმამდე დაყვანს დაუკვირვებადი მონაცემების გამოყენებას (მაგალითად: ბაზრის შესადარებელი მიდგომას გამოყენებას, რომელიც ასახავს ბოლო ტრანზაქციის ფასებს მსგავსი ნივთებისთვის, დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზს ან ოფციონის ფასების მოდელს, რომლებიც ითვალისწინებს ემიტენტის სპეციფიკური გარემოებების ასახვისთვის). გამოყენებული მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებენ.

შესადარისი ინფორმაციის რეკლასიფიკაცია

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

2025 წლის აუდიტის პროცესში კომპანიის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში რეკლასიფიცირდა 2024 წლის შესადარისი ინფორმაცია.

2024 წლის განმავლობაში, სუბროგაციიდან მიღებული შემოსავალი, 893,601 ლარის ოდენობით, ასახული იყო მუხლში „სადაზღვევო შემოსავალი“. 2025 წელს, ფასს 17-ის მოთხოვნების შესაბამისად, წარდგენის ფორმა შეიცვალა და აღნიშნული თანხები რეკლასიფიცირდა შესაბამისი „სადაზღვევო მომსახურების ხარჯების“ შესამცირებლად (ნეტო-პრინციპით), რადგან ისინი წარმოადგენენ უშუალოდ სადაზღვევო მომსახურებასთან დაკავშირებულ ამოღებულ სახსრებს. შესაბამისად, 2024 წლის შესადარისი მაჩვენებლები დაკორექტირდა „სადაზღვევო შემოსავლისა“ და „სადაზღვევო მომსახურების ხარჯების“ იმავე ოდენობით, 893,601 ლარით შემცირების გზით.

აღნიშნული რეკლასიფიკაცია გავლენას ახდენს მხოლოდ სრულ შემოსავლის ანგარიშგებაში წარდგენის ფორმაზე და მას არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია 2024 წლის სადაზღვევო მომსახურების შედეგზე, წლის მოგებაზე, სრულ ერთობლივ შემოსავალზე, მთლიან კაპიტალსა თუ მოგებაზე ერთ აქციაზე.

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე რეკლასიფიკაციის ეფექტი ნაჩვენებია ქვემოთ:

| | რეკლასიფიცირებული 2024 | რეკლასიფიკაცია | გასაჯაროებული 2024 |
|---|------------------------|----------------|--------------------|
| სადაზღვევო ამონაგები | 11,407,915 | (893,601) | 12,301,516 |
| სადაზღვევო მომსახურების ხარჯები | (10,375,205) | 893,601 | (11,268,806) |
| სადაზღვევო მომსახურების შედეგი გადაზღვევამდე | 1,032,710 | - | 1,032,710 |

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც ძალაშია მიმდინარე წლისთვის

მიმდინარე წელს, კომპანიამ გამოიყენა რიგი შესწორებები ფასს სტანდარტებში, რომლებიც გამოქვეყნებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, რომლებიც სავალდებულოა 2025 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ დაწყებული სააღრიცხვო პერიოდისთვის.

ახალი და შესწორებული სტანდარტები

| სტანდარტი/შესწორებები | ძალაშია, დან |
|--|---------------------|
| შესწორებები ბასს 21-ში — უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები: ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა | 2025 წლის 1 იანვარი |

აღნიშნული შესწორების მიღებას არსებითი გავლენა არ მოუხდენია საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში

კომპანიას არ გამოუყენებია შემდეგი ახალი და შესწორებული ფასს სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

| სტანდარტი/შესწორებები | ძალაშია, დან |
|--|----------------------|
| ცვლილებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში – აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს შორის | არ არის განსაზღვრული |

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

| | |
|--|---------------------|
| ფასს 18 პრეზენტაცია და გამჟღავნება ფინანსურ ანგარიშგებაში | 2027 წლის 1 იანვარი |
| ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე გამჟღავნება | 2027 წლის 1 იანვარი |

მენეჯმენტი თვლის, რომ ამ ცვლილებებს არ ექნება რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ ადგენს აღიარების, შეფასების, წარდგენისა და ინფორმაციის გამჟღავნების პრინციპებს სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის და დისკრეციული მონაწილეობის პირობების მქონე საინვესტიციო ხელშეკრულებებისთვის. მოდელი აფასებს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფებს, მომავალი ფულადი ნაკადების, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის მიერ ხელშეკრულებების შესრულებისას, დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რისკის კორექტირება არაფინანსური რისკისთვის და სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა.

ფასს 17-ის მიხედვით, სადაზღვევო ამონაგები ყოველ საანგარიშგებო პერიოდში წარმოადგენს ცვლილებებს ვალდებულებებში დარჩენილი პერიოდებისთვის, რაც ეხება ისეთ მომსახურებას, რომლისთვისაც კომპანია ელოდება ანაზღაურებას და პრემიების განაწილებას, რომელიც დაკავშირებულია აკვიზიციის ხარჯის დაბრუნებასთან. გარდა ამისა, საინვესტიციო კომპონენტები აღარ შედის სადაზღვევო ამონაგებსა და სადაზღვევო მომსახურების ხარჯებში.

კომპანია იყენებს PAA-ს არასასიცოცხლო სეგმენტში ხელშეკრულებების შეფასების გასამარტივებლად. როცა ვალდებულებების გაზომვა ხდება დარჩენილი პერიოდისთვის, PAA მსგავსია კომპანიის წინა სააღრიცხვო მიდგომისთან. თუმცა, როცა ხდება ვალდებულებების შეფასება მომხდარი ზარალებისთვის, კომპანია მომავალი ფულადი ნაკადების დიკონტირებას ახდენს (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი დადგომა მოსალოდნელია ზარალის დადგომის თარიღიდან ერთი წლის ან ნაკლებ პერიოდში) და მოიცავს არაფინანსური რისკის კორექტირებას.

ფასს 17 ცვლის ფასს 4-ს 2023 წლის 1 იანვარის შემდეგ. კომპანიას აქვს გადაანგარიშებული შესადარისი ინფორმაცია ფასს 17-ის გარდამავალი დებულების გამოყენებით.

აღიარება

აღიარების მოთხოვნები ოდნავ განსხვავდება გაცემული ხელშეკრულებისა და დადებული ხელშეკრულებისთვის. გაცემული ხელშეკრულების ჯგუფებისთვის ჯგუფი უნდა იყოს აღიარებული, შემდეგი თარიღებიდან ყველაზე ადრინდელი თარიღისთვის:

სადაზღვევო პერიოდის დასაწყისი;

თარიღი, როცა პოლისის მფლობელის გადასახადი გახდება ვადაგადაცილებული; და

ზარალიანი ხელშეკრულებების ჯგუფისთვის, როცა ჯგუფი გახდება ზარალიანი.

საწარმომ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფი უნდა აღიაროს შემდეგი თარიღებიდან უფრო ადრინდელი თარიღისთვის:

- გადაზღვევის პერიოდის დასაწყისიდან;
- თარიღი როცა კომპანია აღიარებს წაგებიანი ხელშეკრულებების ჯგუფს, იმ პირობით, რომ გადაზღვევის ხელშეკრულება ძალაში იყო ამ თარიღში ან ამ თარიღამდე.

ზემოაღნიშნული პირველი პუნქტის მიუხედავად, დადებული პროპორციული გადაზღვევის ხელშეკრულებების აღიარება უნდა გადაიდოს ამ გადაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში მოქცეული პირველი ხელშეკრულების

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

აღიარებამდე.

სადაზღვევო ხელშეკრულებების აგრეგირების დონე

აგრეგირების დონე ეხება ფასს 17-ის მიხედვით ასაღიარებელ ერთეულს. ფასს 17-ის მიხედვით ასაღიარებელ ერთეულს მოიხსენიებენ, როგორც „ხელშეკრულებათა ჯგუფს“ და მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია აგრეგირების დონესთან, ადგენს, თუ როგორ უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ჯგუფები.

სტანდარტმა დაადგინა შემდეგი მოთხოვნები ხელშეკრულებების ჯგუფის დასადგენად:

პორტფელი - ხელშეკრულებები, რომლებსაც აქვთ მსგავსი რისკები და ერთად იმართება, შეიძლება ერთად დაჯგუფდეს.

მომგებიანობა - ხელშეკრულებები მსგავსი მოსალოდნელი მომგებიანობით (დაწყებისას ან თავდაპირველი აღიარებისას) შეიძლება დაჯგუფდეს.

ამ მიზნით, სტანდარტმა მოითხოვა მინიმუმ შემდეგი სამი კლასიფიკაცია, თუმცა ნებადართულია უფრო დეტალური კლასიფიკაციის გამოყენებაც:

ხელშეკრულებების ჯგუფი, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წამგებიანია, ასეთის არსებობისას;

ხელშეკრულებების ჯგუფი, რომელსაც თავდაპირველი აღიარებისას არ აქვს მნიშვნელოვანი ალბათობა იმისა, რომ შემდგომში გახდება წამგებიანი; და

პორტფელში შემავალი დანარჩენი ხელშეკრულებების ჯგუფი.

კოჰორტები

12 თვეზე მეტი ვადით გაცემული კონტრაქტები არ შეიძლება დაჯგუფდეს ერთად. თუმცა, გარკვეულ გარემოებებში ნებადართულია ერთჯერადი გამარტივება კონტრაქტებისთვის, როგორც გარდამავალ პერიოდში.

ზემოაღნიშნული სამი მოთხოვნის უნიკალური კომბინაცია ქმნის კონტრაქტების ჯგუფს, ანუ კონტრაქტები ერთი და იგივე პორტფელით, იგივე მოსალოდნელი მომგებიანობით და იმავე წელს გამოშვებული შეიძლება დაჯგუფდეს ერთად. ეს დაჯგუფება მუდმივია და არ შეიძლება შეიცვალოს მინიჭების შემდეგ, მიუხედავად იმისა, თუ როგორ განვითარდება მოვლენები პირველადი აღიარების შემდეგ. მაგალითად, დროთა განმავლობაში, ერთეულმა შეიძლება გააცნობიეროს, რომ ხელშეკრულება, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას წამგებიანად ითვლებოდა, მსგავსი არ აღმოჩნდა მაგრამ თავიდან დაჯგუფება არ არის ნებადართული.

შეფასების მოდელები

გაზომვის მოდელი, გამარტივებული მიდგომით, ეხება სადაზღვევო კონტრაქტის აქტივებისა და ვალდებულებების და მასთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების გამოთვლის საფუძველს ან მეთოდოლოგიების ერთობლიობას. ფასს 17-მა წარმოადგინა შემდეგი სამი შეფასების მოდელი:

პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომა ("PAA")

PAA არის არჩევითი გამარტივებული მიდგომა, რომელსაც კომპანიას შეუძლია გამოიყენოს 12 თვემდე დაფარვის ხელშეკრულებებზე ან იმ ხელშეკრულებებზე რომელთა დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება არ იქნება განსხვავებული PAA-სა და GMM-ის მეთოდების გამოყენებისას. გამოთვლების თვალსაზრისით, ძირითადი გამარტივება ეხება დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებას (LRC-ს).

PAA-ს მიხედვით, არ არის საჭირო პრემიის თითოეული კომპონენტის ცალ-ცალკე განხილვა, ამის ნაცვლად შეიძლება წარდგენა მოხდეს ერთი ვალდებულებად. ნებისმიერი შეფასების თარიღისთვის PAA-ს ქვეშ მყოფი ვალდებულების კომპონენტები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება ("LRC")

- გარდა ზარალის კომპონენტისა
- ზარალის კომპონენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში

დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება ("LIC")

- მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებები
- რისკის კორექტირება
- მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებების დისკონტირება

კომპანიის ყველა მოკლევადიანი გარიგება ექვემდებარება ამ გამარტივებას და კომპანიამ მიიღო ეს გამარტივება შესაბამის შემთხვევებში. PAA-ს მიხედვით, ზარალის კომპონენტი და ზარალის რეზერვები მოითხოვს რისკის კორექტირებას, რაც გაზრდის ვალდებულებებს, ხოლო დისკონტირება ზოგადად შეამცირებს ვალდებულებებს. PAA-ს წმინდა ეფექტი დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა რისკის კორექტირება მეტი დისკონტირების ეფექტზე ან გადავადებული ხარჯების ეფექტზე, რომელიც ამჟამად არ არის გადავადებული.

ზოგადი შეფასების მოდელი ("GMM")

არაფინანსური რისკის რისკის კორექტირება არის კომპენსაცია, რომელსაც კომპანია მოითხოვს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების ფულადი ნაკადების ოდენობასა და წარმოშობის დროსთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის გამო, რომელსაც იწვევს არაფინანსური რისკი. არაფინანსური რისკის კორექტირება ასახავს თანხას, რომელსაც მზღვეველი რაციონალურად გადაიხდის იმ განუსაზღვრელობის აღმოსაფხვრელად, რომ მომავალი ფულადი ნაკადები გადააჭარბებს მოსალოდნელს.

კომპანიამ შეაფასა რისკის კორექტირება სანდოობის დონის (საკმარისობის ალბათობის) მიდგომის გამოყენებით 75-ე პროცენტით. კომპანიამ განისაზღვრა ტოლფასი ოდენობა ყველა პროდუქციის ხაზის გაურკვევლობისთან მიმართებაში (კომპენსაცია, რომელიც მოითხოვება არაფინანსური რისკის აღებისთვის) როგორც 75-ე პროცენტული ნდობის დონის ექვივალენტი, გამოკლებული მომავალი ფულადი ნაკადების ალბათობის განაწილების საშუალო.

ანუ კომპანიამ შეაფასა მომავალი ფულადი ნაკადების ალბათობის განაწილება და დაადგინა დამატებითი თანხა, რომელიც საჭიროა ამ ფულადი ნაკადების მოსალოდნელი დღევანდელი ღირებულების მიღმა კონკრეტული პროცენტული დონის მისაღწევად.

წამგებიანი ჯგუფები

კომპანია იყენებს მნიშვნელოვან მსჯელობას იმის დასადგენად, რამდენად აქვს კომპანიას გონივრული და დასაბუთებული ინფორმაცია, რომელიც საკმარისია იმის დასადგენად, რომ სიმრავლეში შემავალი ყველა ხელშეკრულება საკმარისად ერთგვაროვანია და გადანაწილდება ერთსა და იმავე ჯგუფზე ინდივიდუალური ხელშეკრულების შეფასების გარეშე.

დისკონტირება

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კომპანია არეგულირებს სადაზღვევო კონტრაქტების ვალდებულებებისა და გადაზღვევის კონტრაქტების აქტივების საბალანსო ღირებულებას, რათა ასახოს ფულის დროითი ღირებულება და ფინანსური რისკის ეფექტი დისკონტის განაკვეთების გამოყენებით, რომელიც ასახავს კონტრაქტების ჯგუფის ფულადი ნაკადების მახასიათებლებს.

ქვემოდან ზევით მიდგომის მიხედვით, დისკონტის განაკვეთი განისაზღვრება, როგორც ურისკო სარგებელი, რომელიც კორექტირებულია იმის მიხედვით თუ რამდენად განსხვავდება ლიკვიდურობის მახასიათებლები აქტივისა, რომელიც გამოიყენება შემოსავლიანობის ისეთი მრუდის აგებისას, რომელიც არ ითვალისწინებს ლიკვიდურობის რისკს, და შესაბამისი ვალდებულების ფულადი ნაკადებს შორის (ცნობილი, როგორც "არალიკვიდურობის პრემია"). თავად მრუდი რომელიც არ ითვალისწინებს ლიკვიდურობის რისკს იქნება მიღებული კომპანიის მიერ ბაზარზე არსებული ურისკო აქტივებისგან, ან კომპანიას შეუძლია გამოყენოს გამოქვეყნებული მრუდი რომელიც არ ითვალისწინებს ლიკვიდურობის რისკს. ზემოდან ქვევით მიდგომა იწყება პორტფელის განსაზღვრით. პორტფელის სარგებელი მიიღება, როგორც შემოსავალი ძირითადი მუხლებიდან, რომლებთანაც დაკავშირებულია ვალდებულების ფულადი სახსრები.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ქონების სამართლიანი ღირებულება

ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი კვალიფიცირებული შემფასებლების მიერ. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გაყიდვების შედეგების მეთოდის გამოყენებით. შეფასება შეიძლება შეიცვალოს, როდესაც ხელმისაწვდომი გახდება ახალი გარიგების და საბაზრო მტკიცებულებების მონაცემები.

მოგების გადასახადი

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანიას მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი.

4. სადაზღვევო ამონაგები და გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული შემოსავალი

კომპანია ახორციელებს არასიცოცხლის დაზღვევის საქმიანობას და მომხმარებელს სთავაზობს შემდეგ პროდუქტებს. სადაზღვევო შემოსავალი თითოეული პროდუქტის მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

| პროდუქტები | ხელშეკრულებები PAA-ის მიდგომით 2025 | | | | | |
|------------|-------------------------------------|------|---|------|------------------------------|------|
| | სადაზღვევო ამონაგები | | გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული შემოსავალი | | მთლიანი სადაზღვევო ამონაგები | |
| | 2025 | 2024 | 2025 | 2024 | 2025 | 2024 |
| | | | | | | |

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

| | | | | | | |
|---------------------------------------|-------------------|-------------------|------------------|------------------|-------------------|-------------------|
| ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა | 4,435,293 | 4,677,491 | 2,954,408 | 3,152,396 | 7,389,701 | 7,829,887 |
| სამედიცინო დაზღვევა | 2,661,124 | 2,927,317 | - | - | 2,661,124 | 2,927,317 |
| სავალდებულო დაზღვევა* | 2,362,067 | 2,484,587 | - | - | 2,362,067 | 2,484,587 |
| პასუხისმგებლობის დაზღვევა | 386,616 | 329,063 | 140,560 | 173,863 | 527,176 | 502,926 |
| ფინანსური რისკების დაზღვევა | 331,906 | 294,850 | - | - | 331,906 | 294,850 |
| ტვირთის დაზღვევა | 396,077 | 185,631 | 157,921 | 39,674 | 553,998 | 225,305 |
| კონტეინერების დაზღვევა | 351,659 | 224,746 | - | - | 351,659 | 224,746 |
| ქონების დაზღვევა | 273,531 | 211,651 | 110,687 | 123,480 | 384,218 | 335,131 |
| სამოზგაურო დაზღვევა | 264,580 | 72,579 | - | - | 264,580 | 72,579 |
| ავიაცია | - | - | 3,703 | 3,698 | 3,703 | 3,698 |
| სულ სადაზღვევო ამონაგები | 11,462,853 | 11,407,915 | 3,367,279 | 3,493,111 | 14,830,132 | 14,901,026 |

*სავალდებულო დაზღვევის (MTPL) ქვეშ მოიაზრება უცხო ქვეყნებში რეგისტრირებული და საქართველოში მოძრავი ავტოსატრანსპორტის დაზღვევა. მას ადმინისტრირებას უწევს სავალდებულო დაზღვევის ცენტრი („CIC“, არაკომერციული იურიდიული პირი). ცენტრმა ფუნქციონირება 2018 წლის 1 მარტს დაიწყო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. MTPL-ის სავალდებულო დაზღვევა არის ერთობლივი ოპერაცია, რომელშიც საქართველოში მოქმედი 17 სადაზღვევო კომპანია (კომპანიის ჩათვლით) არიან ოპერატორები და თანაბრად ინაწილებენ სადაზღვევო შემოსავალსა და რისკებს.

კომპანია იღებს შემოსავალს დაზღვეულებზე გაცემული სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან. სადაზღვევო ამონაგები წარმოადგენს მიღებულ ანაზღაურებას განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში სადაზღვევო დაფარვის სანაცვლოდ.

| გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული შემოსავალი | 2025 | 2024 |
|---|------------------|------------------|
| ზარალებისა და სხვა ხარჯებისთვის ანაზღაურებული თანხები | 2,405,354 | 2,662,163 |
| ცვლილება ვალდებულებებში, მომხდარი ზარალებისთვის და რისკის კორექტირება | 12,775 | 20,133 |
| საკომისიო შემოსავლის ამორტიზაცია | 949,150 | 810,815 |
| გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული შემოსავალი | 3,367,279 | 3,493,111 |

კომპანია შედის გადაზღვევის გარიგებებში მისი პირდაპირი სადაზღვევო ბიზნესიდან წარმოშობილი ზარალის მიმართ მგრძობილობის შესამცირებლად. შემოსავალი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოადგენს ამ გადაზღვევის კონტრაქტების ფარგლებში აღიარებულ თანხებს.

წმინდა სადაზღვევო შემოსავლის განაწილება თითოეული პროდუქტის მიხედვით, მოცემულია ქვემოთ:

| პროდუქტები | ხელშეკრულებები PAA-ის მიდგომით 2025 | | | | | |
|---------------------------------------|-------------------------------------|-----------|---------------------------------|-----------|------------------------------|-----------|
| | სადაზღვევო ამონაგები | | სადაზღვევო მომსახურების ხარჯები | | წმინდა სადაზღვევო შემოსავალი | |
| | 2025 | 2024 | 2025 | 2024 | 2025 | 2024 |
| ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა | 4,435,293 | 4,677,491 | 4,053,353 | 4,158,407 | 381,940 | 519,084 |
| სამედიცინო დაზღვევა | 2,661,124 | 2,927,317 | - | - | 2,661,124 | 2,927,317 |
| სავალდებულო დაზღვევა | 2,362,067 | 2,484,587 | - | - | 2,362,067 | 2,484,587 |
| პასუხისმგებლობის დაზღვევა | 386,616 | 329,063 | 343,106 | 296,687 | 43,510 | 32,376 |

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

| | | | | | | |
|---|-------------------|-------------------|------------------|------------------|------------------|------------------|
| ფინანსური რისკების დაზღვევა | 331,906 | 294,850 | - | - | 331,906 | 294,850 |
| კონტინენტების დაზღვევა | 351,659 | 224,746 | - | - | 351,659 | 224,746 |
| ქონების დაზღვევა | 273,531 | 211,651 | 285,105 | 209,821 | (11,574) | 1,830 |
| ტვირთების დაზღვევა | 396,077 | 185,631 | 504,483 | 155,129 | (108,406) | 30,502 |
| სამოზგაურო დაზღვევა | 264,580 | 72,579 | - | - | 264,580 | 72,579 |
| კურსთაშორის სხვაობის გავლენა | - | - | (14,078) | 9,104 | 14,078 | (9,104) |
| დისკონტირების ეფექტი და ცვლილებები სხვა შეფასებებში | - | - | 32,838 | (728) | (32,838) | 728 |
| სულ სადაზღვევო ამონაგები | 11,462,853 | 11,407,915 | 5,204,807 | 4,828,421 | 6,258,046 | 6,579,494 |

5. სადაზღვევო მომსახურების ხარჯები და გადაზღვევის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯები

გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ხარჯები პროდუქტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

| პროდუქტები | სადაზღვევო მომსახურების ხარჯები PAA-ის მიდგომით 2025 | | | | | |
|---|--|-------------------|--|------------------|---|-------------------|
| | სადაზღვევო მომსახურების ხარჯები | | გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ხარჯები | | მთლიანი სადაზღვევო მომსახურების ხარჯები | |
| | 2025 | 2024 | 2025 | 2024 | 2025 | 2024 |
| ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა | 5,083,583 | 6,051,266 | 4,053,353 | 4,158,407 | 9,136,936 | 10,209,673 |
| სამედიცინო დაზღვევა | 2,934,049 | 3,193,876 | - | - | 2,934,049 | 3,193,876 |
| სავალდებულო დაზღვევა | 352,246 | 360,053 | - | - | 352,246 | 360,053 |
| პასუხისმგებლობის დაზღვევა | 190,303 | 313,851 | 343,106 | 296,687 | 533,409 | 610,537 |
| ფინანსური რისკების დაზღვევა | (180,275) | 347,067 | - | - | (180,275) | 347,067 |
| კონტინენტების დაზღვევა | 62,546 | (18,091) | - | - | 62,546 | (18,091) |
| ქონების დაზღვევა | 102,649 | 145,039 | 285,105 | 209,821 | 387,754 | 354,860 |
| ტვირთების დაზღვევა | 76,459 | 20,681 | 504,483 | 155,129 | 580,942 | 175,810 |
| სამოზგაურო დაზღვევა | 132,201 | 16,794 | - | - | 132,201 | 16,794 |
| კურსთაშორის სხვაობის გავლენა | 65,899 | (37,358) | (14,078) | 9,104 | 51,821 | (28,254) |
| დისკონტირების ეფექტი და ცვლილებები სხვა შეფასებებში | 125,790 | (17,971) | 32,838 | (728) | 158,628 | (18,699) |
| სულ სადაზღვევო ხარჯები | 8,945,450 | 10,375,205 | 5,204,807 | 4,828,421 | 14,150,257 | 15,203,626 |

სადაზღვევო მომსახურების ხარჯების შემადგენლობა 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

| სადაზღვევო მომსახურების ხარჯები | 2025 | 2024 |
|---|-------------|-----------|
| მომხდარი ზარალები და სხვა ხარჯები | 7,359,901 | 7,899,803 |
| აქტივების გაუფასურება დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადებისთვის | 950,781 | 789,445 |
| შემოსავალი ნარჩენი ქონებიდან | (1,949,278) | (893,601) |
| სადაზღვევო კონტრაქტის აქტივებზე გაუფასურების ზარალი | (55,155) | (280,351) |
| ცვლილება ვალდებულებებში, მომხდარი ზარალებისთვის | 420 | 381,862 |
| კურსთაშორის სხვაობის გავლენა | 65,899 | (37,358) |
| დისკონტირების ეფექტი და ცვლილებები სხვა შეფასებებში | 125,790 | (17,971) |

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

| | | |
|--|------------------|-------------------|
| სხვა სადაზღვევო მომსახურების ხარჯი | 2,447,092 | 2,533,376 |
| სულ სადაზღვევო მომსახურების ხარჯები | 8,945,450 | 10,375,205 |

სხვა სადაზღვევო მომსახურების ხარჯი მოიცავს კომპანიის წილს ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში: ამორტიზაციის/ცვეთის ხარჯი, საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები, სავალდებულო დაზღვევის ცენტრის საკომისიო, კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები, საოფისე ხარჯები და ადმინისტრაციული ხარჯები.

სადაზღვევო მომსახურების ხარჯი წარმოადგენს კომპანიის მიერ გაწეულ ხარჯებს დაზღვეულებისთვის სადაზღვევო დაფარვის მოსაწოდებლად. ეს ხარჯები მოიცავს წარმოშობილ ზარალს, წარმოშობილ ზარალზე ვალდებულებების ცვლილებას და სხვა ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სადაზღვევო ხელშეკრულებებს.

გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ხარჯების 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ხარჯები | 2025 | 2024 |
|---|------------------|------------------|
| გადაზღვევის პრემია | 3,517,947 | 3,147,448 |
| დისკონტირების ეფექტი და ცვლილებები სხვა შეფასებებში | 32,838 | (728) |
| კურსთაშორის სხვაობის გავლენა | (14,078) | 9,104 |
| სხვა გადაზღვევის მომსახურების ხარჯი | 1,668,100 | 1,672,595 |
| გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ხარჯები | 5,204,807 | 4,828,421 |

სხვა გადაზღვევის ხარჯები მოიცავს გადამზღვეველის წილს ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში: ამორტიზაციის/ცვეთის ხარჯი, კონსულტაციისა და აუდიტის ხარჯები, სავალდებულო სადაზღვევო ცენტრის საკომისიო, კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები, საოფისე და ადმინისტრაციული ხარჯები.

დადებული გადაზღვევის ხელშეკრულებების ხარჯები წარმოადგენს კომპანიის მიერ გადაზღვევის ხელშეკრულებებთან მიმართებაში გაწეულ ხარჯებს, მათ შორის საკომისიოს, პრემიას და სხვა ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება დადებულ გადაზღვევის ხელშეკრულებებს.

კომპანია საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს მიაკუთვნებს სადაზღვევო მომსახურებისა და ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების მუხლებს, რათა სრულად ასახოს სადაზღვევო და გადაზღვევის საქმიანობასთან დაკავშირებული დანახარჯები. აღნიშნული განაწილება ეფუძნება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ნაშთების პროპორციულობას და თანმიმდევრულად გამოიყენება საანგარიშგებო პერიოდებში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა, რომლებიც შესულია „სხვა სადაზღვევო მომსახურების ხარჯებსა და „სხვა გადაზღვევის ხარჯებში“.

| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | 2025 | 2024 |
|--|-------------|-------------|
| ხელფასები და სხვა სარგებელი | 2,272,981 | 2,497,604 |
| მომსახურების ხარჯები | 494,138 | 498,627 |
| საწევრო შენატანის ხარჯი | 355,181 | 238,830 |
| საკონსულტაციო ხარჯი | 254,573 | 207,951 |
| მარკეტინგული ხარჯები | 129,904 | 147,513 |
| საინფორმაციო ტექნოლოგიების ხარჯები | 89,221 | 84,396 |
| ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯები | 88,835 | 107,701 |
| საკომუნიკაციო ხარჯები | 48,456 | 51,346 |
| კომუნალური ხარჯები | 37,385 | 40,438 |

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

| | | |
|---|------------------|------------------|
| საწვავის ხარჯები | 35,857 | 27,586 |
| საოფისე ხარჯები | 28,718 | 40,007 |
| რემონტისა და მოვლა-პატრონობის ხარჯები | 11,851 | 13,414 |
| სხვა ხარჯები | 268,091 | 250,558 |
| სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | 4,115,191 | 4,205,972 |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები რომელიც მიეკუთვნება: | | |
| სადაზღვევო მომსახურების ხარჯები | 2,447,092 | 2,533,376 |
| გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ხარჯები | 1,668,100 | 1,672,595 |
| სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | 4,115,191 | 4,205,972 |

6. წმინდა ფინანსური შემოსავალი

წმინდა ფინანსური შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | | |
|---|----------------|----------------|
| საპროცენტო შემოსავალი | 2025 | 2024 |
| საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებიდან | 454,540 | 549,557 |
| საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხებიდან | 11,440 | 11,471 |
| სულ საპროცენტო შემოსავალი | 465,980 | 561,029 |
| საპროცენტო ხარჯი | (36,823) | (70,624) |
| სულ წმინდა ფინანსური შემოსავალი | 429,157 | 490,405 |

7. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | | |
|---|----------------|-----------------|
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი) | 2025 | 2024 |
| წმინდა მოგება/(ზარალი) ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტიდან | 103,692 | (79,311) |
| ჯარიმები და საურავები | 37,450 | 13,500 |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯები | 74,052 | 52,007 |
| სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი) | 215,193 | (13,804) |

ჯარიმები და საურავები ძირითადად უკავშირდება სანქციებს, რომლებიც კომპანიას სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა ყოველთვიური ანგარიშგებების შემოწმების საფუძველზე დააკისრა. 2025 წლის განმავლობაში, ყოველთვიური ანგარიშგებების წარდგენისას გამოვლენილი ხარვეზებისთვის კომპანია ჯამში 37,300 ლარით დაჯარიმდა, მათ შორის 22,300 ლარი უკავშირდება ყოველთვიურ სტატისტიკურ ანგარიშგებებში დაფიქსირებულ მცირე უზუსტობებს. გარდა ამისა, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2025 წლის 13 თებერვლის ბრძანების საფუძველზე, 2024 წლის ოქტომბრის ანგარიშგებასთან დაკავშირებით კომპანიას დაეკისრა ჯარიმა 15,000 ლარის ოდენობით, ვინაიდან დადგინდა, რომ საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანია ვერ აკმაყოფილებდა მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნას. 2025 წელს აღიარებულმა მთლიანმა ჯარიმებმა 37,450 ლარი შეადგინა, რაც ასევე მოიცავს საპატრულო პოლიციის მიერ საგზაო მოძრაობის წესების მცირე დარღვევებისთვის დაკისრებულ 150 ლარის ოდენობის ადმინისტრაციულ ჯარიმებს.

ინფორმაცია საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების დარღვევისა და მასთან დაკავშირებული მარეგულირებელი ნორმების შესახებ იხილეთ მე-20 შენიშვნაში – პირობითი ვალდებულებები.

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ფული და ფულის ექვივალენტები | 2025 | 2024 |
|--|----------------|----------------|
| ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში | 185,853 | 155,134 |
| ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში | 350,313 | 7,642 |
| ნადდი ფული სალაროში, ეროვნულ ვალუტაში | 2,213 | 4,393 |
| შეზღუდული ფული | 35,000 | 160,424 |
| სულ ფული და ფულის ექვივალენტები | 573,379 | 327,593 |

კომპანიას გაფორმებული აქვს ფორვარდული ხელშეკრულება კომერციულ ბანკთან სავალუტო ოპერაციებში ფიქსირებული გაცვლითი კურსის გამოყენებისთვის. კომპანიამ განათავსა ფული შეზღუდულ ანგარიშებზე ამ შეთანხმების უზრუნველსაყოფად.

ფული და ფულადი სახსრების ექვივალენტების სამართლიანი ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

9. საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები

საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები | 2025 | 2024 |
|--|------------------|------------------|
| ძირი: | | |
| სს "პროკრედიტ ბანკი" | 4,482,488 | 4,813,662 |
| სს "იშ ბანკი" | 2,426,080 | 2,796,120 |
| სს "საქართველოს ბანკი" | 1,558,412 | 1,581,960 |
| სულ ძირი | 8,466,980 | 9,191,742 |
| დარიცხული პროცენტი | 65,373 | 26,151 |
| სულ საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები | 8,532,353 | 9,217,893 |

დეპოზიტებიდან მიღებულმა საპროცენტო შემოსავალმა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის შეადგინა 454,540 ლარი (2024 წ.: 549,557 ლარი)

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დეპოზიტების ნაშთების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

| ბანკი | ვალუტა | დაწყების თარიღი | დასრულების თარიღი | საპროცენტო განაკვეთი | ნაშთი |
|-------------------|--------|-----------------|-------------------|----------------------|-----------|
| პროკრედიტ ბანკი | ლარი | 12/1/2025 | 12/1/2026 | 10.3% | 1,165,800 |
| იშბანკი | დოლარი | 7/11/2025 | 7/11/2026 | 5% | 1,078,040 |
| საქართველოს ბანკი | ლარი | 4/28/2025 | 4/28/2026 | 9.8% | 1,020,000 |
| პროკრედიტ ბანკი | ლარი | 11/3/2025 | 11/3/2026 | 10.3% | 945,000 |
| პროკრედიტ ბანკი | დოლარი | 7/14/2025 | 7/14/2026 | 4.3% | 808,530 |
| პროკრედიტ ბანკი | დოლარი | 12/30/2025 | 12/30/2026 | 4% | 539,020 |
| იშბანკი | დოლარი | 12/16/2025 | 12/16/2026 | 5% | 539,020 |
| იშბანკი | დოლარი | 12/31/2025 | 12/31/2026 | 4% | 539,020 |
| პროკრედიტ ბანკი | დოლარი | 2/21/2025 | 2/23/2026 | 4% | 404,265 |
| პროკრედიტ ბანკი | დოლარი | 1/8/2024 | 1/8/2026 | 4.8% | 350,363 |

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

| | | | | | |
|-------------------|--------|------------|------------|-------|------------------|
| საქართველოს ბანკი | დოლარი | 12/30/2025 | 12/30/2026 | 1.5% | 323,412 |
| იშბანკი | ლარი | 12/16/2025 | 12/16/2026 | 11% | 270,000 |
| პროკრედიტ ბანკი | დოლარი | 7/14/2025 | 7/14/2026 | 4.3% | 269,510 |
| საქართველოს ბანკი | ლარი | 12/29/2025 | 12/29/2026 | 10.3% | 215,000 |
| სულ | | | | | 8,466,980 |

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დეპოზიტების ნაშთების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

| ბანკი | ვალუტა | დაწყების თარიღი | დასრულების თარიღი | საპროცენტო განაკვეთი | ნაშთი |
|-------------------|--------|-----------------|-------------------|----------------------|------------------|
| იშბანკი | დოლარი | 7/4/2023 | 7/4/2025 | 5% | 1,403,400 |
| პროკრედიტ ბანკი | დოლარი | 11/18/2024 | 11/18/2025 | 4.2% | 1,220,958 |
| საქართველოს ბანკი | ლარი | 4/15/2024 | 4/14/2025 | 9.8% | 1,020,600 |
| პროკრედიტ ბანკი | დოლარი | 11/3/2023 | 11/3/2025 | 4.8% | 982,380 |
| პროკრედიტ ბანკი | დოლარი | 7/14/2023 | 7/14/2025 | 4.3% | 842,040 |
| საქართველოს ბანკი | დოლარი | 12/30/2024 | 12/30/2025 | 2.2% | 561,360 |
| იშბანკი | დოლარი | 12/13/2024 | 12/15/2025 | 5% | 561,360 |
| პროკრედიტ ბანკი | დოლარი | 12/30/2024 | 12/30/2025 | 4% | 561,360 |
| პროკრედიტ ბანკი | დოლარი | 1/26/2023 | 1/27/2025 | 2.5% | 561,360 |
| პროკრედიტ ბანკი | დოლარი | 12/30/2024 | 12/30/2025 | 4% | 561,360 |
| პროკრედიტ ბანკი | დოლარი | 1/8/2024 | 1/8/2026 | 4.8% | 364,884 |
| პროკრედიტ ბანკი | დოლარი | 3/16/2023 | 3/17/2025 | 2.5% | 280,680 |
| იშბანკი | ლარი | 12/13/2024 | 12/15/2025 | 11% | 270,000 |
| სულ | | | | | 9,191,742 |

საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტების სამართლიანი ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

10. გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები

გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები PAA მიდგომით 31.12.2025 | | | | |
|--|---|--------------------|--|--|---|
| | დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის აქტივები | | მომხდარი ანაზღაურებული ზარალები | | გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები |
| | გარდა ზარალის კომპონენტისა | ზარალის კომპონენტი | მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება | კორექტირება არაფინანსური რისკის საფუძველზე | |
| გადაზღვევის კონტრაქტებიდან აქტივის საწყისი ნაშთი | 1,074,709 | - | 289,106 | 139,663 | 1,503,478 |
| გადაზღვევის კონტრაქტებიდან ვალდებულებების საწყისი ნაშთი | - | - | - | - | - |
| გადაზღვევასთან დაკავშირებული შემოსავალები და ხარჯები | | | | | - |
| გადაზღვევის პრემია | (3,517,947) | - | - | - | (3,517,947) |
| ზარალებისა და სხვა ხარჯებისთვის ანაზღაურებული თანხები | - | - | 2,405,353 | - | 2,405,353 |
| ცვლილება ვალდებულებებში, მომხდარი ზარალებისთვის | - | - | - | 12,776 | 12,776 |
| საკომისიო შემოსავლის ამორტიზაცია | 949,150 | - | - | - | 949,150 |
| კურსთაშორის სხვაობის გავლენა | 14,078 | - | - | - | 14,078 |
| დისკონტირების ეფექტი და ცვლილებები სხვა შეფასებებში | - | - | (27,785) | (5,053) | (32,838) |
| მთლიანი ცვლილებები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში | (2,554,719) | - | 2,377,568 | 7,723 | (169,427) |
| ზარალების ანაზღაურება | - | - | (2,494,321) | - | (2,494,321) |
| გადამზღვევლის გადახდები | 3,330,746 | - | - | - | 3,330,746 |
| საკომისიოს გადახდები | (956,849) | - | - | - | (956,849) |
| მთლიანი ფულადი ნაკადები | 2,373,897 | - | (2,494,321) | - | (120,424) |
| გადაზღვევის კონტრაქტებიდან აქტივების საბოლოო ნაშთი | 893,887 | - | 172,353 | 147,386 | 1,213,626 |
| გადაზღვევის კონტრაქტებიდან ვალდებულებების საბოლოო ნაშთი | - | - | - | - | - |
| გადაზღვევის კონტრაქტებიდან აქტივების წმინდა პოზიცია | 893,887 | - | 172,353 | 147,386 | 1,213,626 |

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები PAA მიდგომით 31.12.24 | | | | |
|--|---|--------------------|--|--|---|
| | დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის აქტივები | | მომხდარი ანაზღაურებული ზარალები | | გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები |
| | გარდა ზარალის კომპონენტისა | ზარალის კომპონენტი | მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება | კორექტირება არაფინანსური რისკის საფუძველზე | |
| გადაზღვევის კონტრაქტებიდან აქტივის საწყისი ნაშთი | 592,149 | - | 276,273 | 138,911 | 1,007,333 |
| გადაზღვევის კონტრაქტებიდან ვალდებულებების საწყისი ნაშთი | - | - | - | - | - |
| გადაზღვევასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები | | | | | |
| გადაზღვევის პრემია | (3,147,448) | - | - | - | (3,147,448) |
| ზარალებისა და სხვა ხარჯებისთვის ანაზღაურებული თანხები | - | - | 2,669,439 | - | 2,669,439 |
| ცვლილება ვალდებულებებში, მომხდარი ზარალებისთვის | - | - | - | 752 | 752 |
| საკომისიო შემოსავლის ამორტიზაცია | 810,815 | - | - | - | 810,815 |
| კურსთაშორის სხვაობის გავლენა | (28,484) | - | - | - | (28,484) |
| დისკონტირების ეფექტი და ცვლილებები სხვა შეფასებებში | - | - | 728 | - | 728 |
| მთლიანი ცვლილებები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში | (2,365,117) | - | 2,670,166 | 752 | 305,801 |
| ზარალების დარეგულირება (გადახდა) | - | - | (2,657,333) | - | (2,657,333) |
| ანაზღაურება გადამზღვევლების სხვა დებიტორული დავალიანების | (1,210,711) | - | - | - | (1,210,711) |
| საკომისიოს გადახდები | (830,850) | - | - | - | (830,850) |
| პრემიების გადახდები | 4,889,239 | - | - | - | 4,889,239 |
| მთლიანი ფულადი ნაკადები | 2,847,677 | - | (2,657,333) | - | 190,344 |
| გადაზღვევის კონტრაქტებიდან აქტივების საბოლოო ნაშთი | 1,074,709 | - | 289,106 | 139,663 | 1,503,478 |
| გადაზღვევის კონტრაქტებიდან ვალდებულებების საბოლოო ნაშთი | - | - | - | - | - |
| გადაზღვევის კონტრაქტებიდან აქტივების წმინდა პოზიცია | 1,074,709 | - | 289,106 | 139,663 | 1,503,478 |

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

11. სხვა აქტივები

სხვა აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| სხვა აქტივები | 31 დეკემბერი 2025 | 31 დეკემბერი 2024 |
|---|-------------------|-------------------|
| ფინანსური აქტივები | | |
| გაცემული სესხები | 57,200 | 57,200 |
| მისაღები პროცენტები | 53,815 | 42,375 |
| გაცემული სესხებისა და მისაღები პროცენტების გაუფასურების რეზერვი | (111,015) | - |
| სულ ფინანსური აქტივები | - | 99,575 |
| არაფინანსური აქტივები | | |
| სასამართლო დავისთვის წინასწარ გაწეული ხარჯები | 128,784 | 74,857 |
| ინვესტიცია სავალდებულო დაზღვევის ცენტრში | 124,660 | 124,660 |
| გადარჩენილი და დასაკუთრებული ქონება | 122,938 | 152,202 |
| სხვა | 18,226 | 23,775 |
| სულ არაფინანსური აქტივები | 394,608 | 375,495 |
| სულ სხვა აქტივები | 394,608 | 475,070 |

კომპანიას აქვს გაცემული სესხი ფიზიკურ პირზე. ეს სესხი უნდა დაფაროს ვადის გასვლისას. ვადის გასვლის თარიღია 24.12.2041, საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა სეზ-ის მიერ დადგენილ სესხებზე საბაზრო განაკვეთის მიხედვით, გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 17.8%-ს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი თანხის ნაშთმა შეადგინა 57,200 ლარი, ხოლო დარიცხულმა პროცენტმა - 42,375 ლარი. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი თანხის ნაშთი კვლავ 57,200 ლარი იყო, ხოლო დარიცხულმა პროცენტმა 53,815 ლარი შეადგინა.

ხელმძღვანელობამ შეაფასა სესხის ამოღებადობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის შესაბამისად. მსესხებელთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისა და არსებული ნაშთის საბოლოო ამოღებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის გათვალისწინებით, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიან მოცულობაზე (რომელიც მოიცავს როგორც ძირითად თანხას, ისე დარიცხულ პროცენტს) აღიარებულ იქნა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის 100%-იანი რეზერვი.

გადარჩენილი და დასაკუთრებული აქტივები აღიარებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მენეჯმენტის შეფასების საფუძველზე, ეს აქტივები ინარჩუნებენ ეკონომიკურ ღირებულებას და მოსალოდნელია, რომ მათი რეალიზაციის გზით შესაძლებელია შემოსავლის მიღება. შესაბამისად, გადარჩენილი და დასაკუთრებული ქონება არ არის გაუფასურებული და არ საჭიროებს რეზერვის შექმნას.

12. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| აქტივის გამოყენების უფლება | 2025 | 2024 |
|----------------------------|----------------|----------------|
| 1 იანვარი | 867,110 | 134,023 |
| მოდIFIკაცია | 279,147 | 929,045 |
| ამორტიზაცია | (229,252) | (195,958) |
| 31 დეკემბერი | 917,006 | 867,110 |

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

| საიჯარო ვალდებულებები | 2025 | 2024 |
|--------------------------|----------------|----------------|
| 1 იანვარი | 915,708 | 115,693 |
| მოდIFIკაცია | 230,550 | 929,045 |
| საპროცენტო ხარჯი | 82,560 | 53,801 |
| საიჯარო გადახდა | (271,680) | (229,568) |
| საკურსო ცვლილების ეფექტი | (45,262) | 46,737 |
| 31 დეკემბერი | 911,876 | 915,708 |

კომპანიას იჯარით აღებული აქვს საოფისე ფართი. 2024 წელს კომპანიამ განაახლა იჯარის ხელშეკრულება, ცვლილების შესაბამისად ხელშეკრულების ვადა 2024 წლის 31 აგვისტოდან 2029 წლის 31 აგვისტომდე გახანგრძლივდა.

ხელშეკრულების ცვლილების შესაბამისად მოხდა აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების რეკალკულაცია. წინა წლის გაანგარიშებაში გამოყენებული თავდაპირველი დისკონტირების განაკვეთი (7.43%) შეიცვალა 8%-ით მოდიფიცირებული საიჯარო ვადისათვის. აღნიშნული მოდიფიკაციის გავლენა ასახულია 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში.

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

13. ძირითადი საშუალებები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ისტორიული ღირებულება | მიწა | ავეჯი და ოფისის არქტურვილობა | სატრანსპორტო საშუალებები | იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | სულ |
|-----------------------------|----------------|---------------------------------|-----------------------------|--|------------------|
| 31.12.2023 | 207,023 | 530,753 | 118,829 | 174,546 | 1,031,151 |
| შემოსვლა | - | 19,183 | 45,311 | - | 64,494 |
| გასვლა | - | - | (21,843) | - | (21,843) |
| 31.12.2024 | 207,023 | 549,936 | 142,297 | 174,546 | 1,073,802 |
| შემოსვლა | - | 29,904 | 42,643 | - | 72,547 |
| გასვლა | - | (3,730) | (21,813) | - | (25,543) |
| 31.12.2025 | 207,023 | 576,110 | 163,127 | 174,546 | 1,120,806 |
| დაგროვილი ცვეთა | | | | | |
| 31.12.2023 | - | (382,291) | (107,689) | (125,940) | (615,920) |
| ცვეთა | - | (41,675) | (9,239) | (18,549) | (69,463) |
| გასვლა | - | - | 21,199 | - | 21,199 |
| 31.12.2024 | - | (423,966) | (95,729) | (144,489) | (664,184) |
| ცვეთა | - | (37,963) | (17,288) | (11,592) | (66,843) |
| გასვლა | - | 1,385 | 18,885 | - | 20,270 |
| 31.12.2025 | - | (460,544) | (94,132) | (156,081) | (710,757) |
| საბალანსო ღირებულება | | | | | |
| 31.12.2023 | 207,023 | 148,462 | 11,140 | 48,606 | 415,231 |
| 31.12.2024 | 207,023 | 125,970 | 46,568 | 30,057 | 409,618 |
| 31.12.2025 | 207,023 | 115,566 | 68,995 | 18,465 | 410,049 |

2025 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ძირითადი საშუალებები არ არის დაგირავებული.

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

14. ვალდებულებები სადაზღვეო კონტრაქტებიდან

ვალდებულებები სადაზღვეო კონტრაქტებიდან PAA მიდგომით 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებები | | მომხდარი ზარალების ვალდებულებები | | ვალდებულებები სადაზღვეო კონტრაქტებიდან |
|---|---|--------------------|--|----------------------------|--|
| | გარდა ზარალის კომპონენტისა | ზარალის კომპონენტი | მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება | გარდა ზარალის კომპონენტისა | |
| სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებების საწყისი ნაშთი | 912,742 | - | 1,228,563 | 674,016 | 2,815,321 |
| სადაზღვევო ამონაგები | (11,462,853) | - | - | - | (11,462,853) |
| მომხდარი ზარალები და სხვა ხარჯები | - | - | 7,359,901 | - | 7,359,901 |
| შემოსავალი გადარჩენილი ქონებიდან | - | - | (1,949,278) | - | (1,949,278) |
| სადაზღვევო ფულადი ნაკადების შეფასების ცვლილება წინა წლის ზარალების შეფასების ცვლილება | (55,155) | - | - | - | (55,155) |
| კურსთაშორის სხვაობის გავლენა | 65,822 | - | 77 | - | 65,899 |
| დისკონტირების ეფექტი და ცვლილებები სხვა შეფასებებში | - | - | 308,443 | (182,653) | 125,790 |
| დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადების ამორტიზაცია | 950,722 | - | - | - | 950,722 |
| სადაზღვევო მომსახურების ხარჯები ფინანსურ ხარჯებამდე | 961,389 | - | 5,719,143 | (182,233) | 6,498,299 |
| სადაზღვევო საპროცენტო ხარჯი | - | - | 12,997 | - | 12,997 |
| მთლიანი ცვლილებები მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში | (10,501,464) | - | 5,732,140 | (182,233) | (4,951,557) |
| მიღებული პრემია | 11,494,733 | - | - | - | 11,494,733 |
| გადახდილი ზარალები და სხვა ხარჯები | - | - | (7,141,224) | - | (7,141,224) |
| ნარჩენი ქონებიდან ამოღებული წმინდა ფულადი ნაკადები | - | - | 526,740 | - | 526,740 |
| გადახდილი აკვიზიციის ხარჯები | (1,071,882) | - | - | - | (1,071,882) |
| მთლიანი ფულადი ნაკადები | 10,422,851 | - | (6,614,484) | - | 3,808,367 |
| სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებების საბოლოო ნაშთი | 834,129 | - | 346,219 | 491,783 | 1,672,131 |

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ვალდებულებები სადაზღვეო კონტრაქტებიდან PAA მიდგომით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებები | | მომხდარი ზარალების ვალდებულებები | | სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები ზარალის კომპონენტი |
|---|---|--------------------|--|----------------------------|--|
| | გარდა ზარალის კომპონენტისა | ზარალის კომპონენტი | მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება | გარდა ზარალის კომპონენტისა | |
| სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებების საწყისი ნაშთი | 1,083,124 | - | 1,592,178 | 292,154 | 2,967,456 |
| სადაზღვევო ამონაგები | (11,407,915) | - | - | - | (11,407,915) |
| მომხდარი ზარალები და სხვა ხარჯები | - | - | 7,899,803 | - | 7,899,803 |
| შემოსავალი გადარჩენილი ქონებიდან | - | - | (893,601) | - | (893,601) |
| სადაზღვევო ფულადი ნაკადების შეფასების ცვლილება | (280,351) | - | - | - | (280,351) |
| წინა წლის ზარალების შეფასების ცვლილება | - | - | - | 381,862 | 381,862 |
| კურსთაშორის სხვაობის გავლენა | (36,718) | - | (640) | - | (37,358) |
| დისკონტირების ეფექტი და ცვლილებები სხვა შეფასებებში | - | - | (17,971) | - | (17,971) |
| დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადების ამორტიზაცია | 789,445 | - | - | - | 789,445 |
| სადაზღვევო მომსახურების ხარჯები ფინანსურ ხარჯებამდე | 472,377 | - | 6,987,591 | 381,862 | 7,841,829 |
| სადაზღვევო საპროცენტო ხარჯი | - | - | 20,655 | - | 20,655 |
| მთლიანი ცვლილებები მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში | (10,935,538) | - | 7,008,245 | 381,862 | (3,545,431) |
| მიღებული პრემია | 11,562,150 | - | - | - | 11,562,150 |
| გადახდილი ზარალები და სხვა ხარჯები | - | - | (8,259,919) | - | (8,259,919) |
| ნარჩენი ქონებიდან ამოღებული წმინდა ფულადი ნაკადები | - | - | 888,058 | - | 888,058 |
| გადახდილი აკვიზიციის ხარჯები | (796,994) | - | - | - | (796,994) |
| მთლიანი ფულადი ნაკადები | 10,765,156 | - | (7,371,860) | - | 3,393,296 |
| სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებების საბოლოო ნაშთი | 912,742 | - | 1,228,563 | 674,016 | 2,815,321 |

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

15. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| სხვა ვალდებულებები | 31 დეკემბერი 2025 | 31 დეკემბერი 2024 |
|------------------------------------|-------------------|-------------------|
| ფინანსური ვალდებულებები | | |
| სავაჭრო ვალდებულებები | 167,797 | 265,356 |
| დეპონირებული თანხები | 124,183 | 208,034 |
| სულ ფინანსური ვალდებულებები | 291,980 | 473,390 |
| არა-ფინანსური ვალდებულებები | | |
| საგადასახადო ვალდებულებები | 170,001 | 169,530 |
| სულ სხვა ვალდებულებები | 461,981 | 642,920 |

დეპონირებული თანხები მოიცავს კომპანიის მიერ გარანტიების გაცემისთვის დეპონირებულ თანხებს.

16. სააქციო კაპიტალი

2025 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შედგება 5,244 ლარი ნომინალური ღირებულების მქონე 2,954 ჩვეულებრივი აქცისგან, სულ 15,490,640 ლარი, რომელიც საანგარიშგებო პერიოდებისთვის სრულიად არის გადახდილი.

| თარიღი | რაოდენობა | სულ კაპიტალი |
|--------------------------|--------------|-------------------|
| 31 დეკემბერი 2023 | 2,954 | 15,490,640 |
| დამატება | - | - |
| 31 დეკემბერი 2024 | 2,954 | 15,490,640 |
| დამატება | - | - |
| 31 დეკემბერი 2025 | 2,954 | 15,490,640 |

კაპიტალთან დაკავშირებით კანონმდებლობის მოთხოვნები იხილეთ კაპიტალის მენეჯმენტის მე-16 შენიშვნაში.

17. მოგების გადასახადის ხარჯი

2024 წლის 1 იანვრიდან კომპანია ექვემდებარება კორპორატიული დაბეგვრის ესტონურ მოდელს, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ამ მოდელის მიხედვით, კორპორატიული საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება გაუნაწილებელ მოგება, არამედ დივიდენდების ან სხვა სავარაუდო განაწილების სახით გაცემული მოგება.

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში კომპანიას არ გაუნაწილებია დივიდენდები და არ განუხორციელებია სხვა დასაბეგრი ოპერაციები. შესაბამისად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადის ხარჯი არ იქნა აღიარებული.

18. რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვაგვარ რისკებთან. ამიტომ რისკების მართვა წარმოადგენს მისი სადაზღვევო საქმიანობის მნიშვნელოვან კომპონენტს. რისკი წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის განუყოფელ ნაწილს, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რისკის მუდმივი განსაზღვრის, შეფასების და ყოველდღიური მონიტორინგის პროცესის მეშვეობით რისკების ლიმიტის და სხვა კონტროლის გათვალისწინებით. კომპანიაში მომუშავე ყოველი ადამიანი პასუხისმგებელია იმ რისკებზე, რომლებსაც მოიცავს მისი საქმიანობა. კომპანიის საქმიანობისთვის

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამახასიათებელი ძირითადი ფინანსური რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო. ქვემოთ მოცემულია კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა ამ რისკებთან მიმართებაში.

მართვის სტრუქტურა

კომპანიის რისკების და ფინანსური მართვის სტრუქტურის ძირითადი მიზანია კომპანიის დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც ხელს უშლის მის მიერ დასახული მიზნების მდგრად მიღწევას, მათ შორის მოიაზრება შესაძლებლობების გამოუყენებლობა. კომპანია აღიარებს რისკების მართვის ქმედითი და ეფექტური სისტემის არსებობის კრიტიკულ მნიშვნელობას.

კომპანიამ შექმნა რისკების მართვის ფუნქცია დირექტორთა საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებში. დირექტორთა საბჭო ახორციელებს ხელმძღვანელობის შესაბამისი წევრების მიმართ რისკების მართვის დადგენილი პოლიტიკის აღსრულების ზედამხედველობაზე პასუხისმგებლობის დელეგირებას.

დირექტორთა საბჭო ამტკიცებს კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკას და ატარებს რეგულარულ შეხვედრებს ასეთი პოლიტიკის ნებისმიერი კომერციული, მარეგულირებელი და საკუთარი ორგანიზაციული მოთხოვნების დასამტკიცებლად. პოლიტიკა განსაზღვრავს კომპანიის მიერ რისკის იდენტიფიკაციას და მის ინტერპრეტაციას, ლიმიტის სტრუქტურას, რათა უზრუნველყოს აქტივების შესაბამისი ხარისხი და დივერსიფიკაცია, სადაზღვევო და გადაზღვევის სტრატეგიის შესაბამისობა კორპორაციულ მიზნებთან და მიუთითებს ანგარიშგების მოთხოვნებს.

კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომა

კომპანიამ ჩამოაყალიბა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და რისკების მართვის მიმართ მიდგომა, რომლებიც გავლენას ახდენს მისი კაპიტალის პოზიციაზე.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით დაზღვეულებისთვის უსაფრთხოების ხარისხის უზრუნველყოფა.
- კაპიტალის ეფექტურად გამოყოფა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა იმის უზრუნველყოფით, რომ შემოსავალი გამოყენებული კაპიტალიდან აკმაყოფილებს მისი ინვესტორების და მისი აქციონერების მოთხოვნებს.
- ფინანსური მოქნილობის შენარჩუნება ძლიერი ლიკვიდურობის და ფინანსური ინსტიტუტებიდან ხელმისაწვდომი სახსრების წვდომის მეშვეობით.
- ფინანსური ძალის შენარჩუნება, ახალი ბიზნესის ზრდის ხელშეწყობა და დაზღვეულების, მარეგულირებლების და აქციონერების საჭიროებების დაკმაყოფილება.

კომპანიის ოპერაციები ასევე ექვემდებარება ადგილობრივ მარეგულირებელ მოთხოვნებს. ასეთი რეგულაციები არა მხოლოდ განსაზღვრავს საქმიანობის დამტკიცებისა და მონიტორინგის საჭიროებას, არამედ ასევე აწესებს გარკვეული შემზღვეველ დებულებებს, მაგალითად კაპიტალის ადეკვატურობა – სადაზღვევო კომპანიების მხრიდან დეფოლტის და გაკოტრების რისკის შესამცირებლად, რათა შეძლონ გაუთვალისწინებელი ვალდებულებების შესრულება მათი წარმოშობისას.

კომპანიის კაპიტალის მართვის პოლიტიკა მისი სადაზღვევო და არასადაზღვევო ბიზნესისთვის არის საკმარისი ლიკვიდური აქტივების ფლობა ნორმატიული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მარეგულირებელი მითითებების საფუძველზე.

მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კომპანია ცდილობს სტრუქტურისა და კაპიტალის წყაროების ოპტიმიზაციას იმისთვის, რომ უზრუნველყოს უკუგების თანმიმდევრული ზრდა აქციონერებისა და დაზღვეულებისთვის.

კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ მოიცავს აქტივების, ვალდებულებების და რისკების კოორდინირებულად მართვას, კაპიტალის რეალურ და საჭირო დონეებს შორის განსხვავების რეგულარულ შეფასებას და სათანადო ქმედებებს კომპანიის კაპიტალის პოზიციაზე ზემოქმედებისთვის.

გასულ წელს, წინა წლებთან შედარებით კომპანიაში ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან ცვლილებებს მის პოლიტიკასა და პროცესებში კაპიტალის სტრუქტურასთან დაკავშირებით.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვის მთავარი მიზანი არის შესაბამისი დონის მონიტორინგი და კომპანიის რისკებთან კაპიტალის შესაბამისობის უზრუნველყოფა ნებისმიერ დროს. კომპანიის კაპიტალის მართვის მიზნებია:

- საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურების მოთხოვნების დაცვა;
- სადაზღვევო ვალდებულებების დასაფარად მიღებული აქტივების შემადგენლობისა და სტრუქტურის შენარჩუნება და
- კომპანიის სტაბილურობის აუცილებელი დონის შენარჩუნება და დაზღვეულთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

მარეგულირებლის მოთხოვნები

საქართველოს სადაზღვევო კანონმდებლობა ადგენს კაპიტალის მინიმალურ დონეს, რომელიც სადაზღვევო კომპანიებმა უნდა შეინარჩუნონ. სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევის საქმიანობით დაკავებული მზღვეველებისთვის მინიმალური მოთხოვნილი კაპიტალი შეადგენს 7,200,000 ლარს. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის კაპიტალი აღემატებოდა ამ მინიმალურ მოთხოვნას, რითიც უზრუნველყოფილი იყო სრული შესაბამისობა მოქმედ მარეგულირებელ სტანდარტებთან.

გარდა ამისა, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული №15 და №16 ბრძანებების შესაბამისად, კომპანია ვალდებულია დაიცვას საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები. ეს მოიცავს გადახდისუნარობის კოეფიციენტის შენარჩუნებას არანაკლებ 100%-ის დონეზე, იმის უზრუნველყოფას, რომ საზედამხედველო კაპიტალი ნებისმიერ დროს აღემატებოდეს გაანგარიშებულ გადახდისუნარობის ზღვარს და სადაზღვევო ვალდებულებების დასაფარად აქტივების შესაბამისობის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. გადახდისუნარიანობის ზღვარი განისაზღვრება პრემიებზე დაფუძნებულ და ზარალებზე დაფუძნებულ გაანგარიშებებს შორის უდიდესით.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საზედამხედველო კაპიტალი შეადგენდა 8,203,672 ლარს (2024 წელს: 7,642,877 ლარი).

საზედამხედველო კაპიტალი განისაზღვრება ფასს კაპიტალის საფუძველზე, კორექტირებული ISSSG №16 დირექტივით დადგენილი წესით.

კომპანია აკმაყოფილებს საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნებს საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კანონმდებლობის შესაბამისად. საზედამხედველო კაპიტალის ჭარბი ოდენობა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,003,672 ლარს (2024 წელს: 442,877 ლარი).

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის გადახდისუნარიანობის ზღვარი შეადგენდა 1,156,930 ლარს (2024 წელს: 1,691,585 ლარი).

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კომპანია აკმაყოფილებს გადახდისუნარიანობის ზღვრის მოთხოვნებს საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კანონმდებლობის შესაბამისად. გადახდისუნარიანობის ზღვრის ჭარბი ოდენობა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 7,046,742 ლარს (2024 წელს: 5,951,293 ლარი).

როგორც გამჟღავნებულია მე-7 შენიშვნაში, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, 2024 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით მინიმალური სახედამხედველო კაპიტალის მოთხოვნის დროებით დარღვევასთან დაკავშირებით, კომპანიას დაეკისრა ადმინისტრაციული ჯარიმა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ. აღნიშნულმა დარღვევამ გამოიწვია 56,551 ლარის ოდენობის დეფიციტი, რაც ძირითადად განპირობებული იყო მოცემულ პერიოდში სადაზღვევო ვალდებულებების არაორდინალური და ერთჯერადი ცვლილებებით, აგრეთვე კაპიტალის პოზიციებზე სავალუტო კურსის მერყეობის გავლენით, ვინაიდან იმ დროისთვის კომპანიის დეპოზიტების მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოურ ვალუტაში იყო ნომინირებული. ეს ფაქტორები დროებითი ხასიათის იყო და კომპანიამ ამის შემდეგ მალევე აღადგინა შესაბამისობა სახედამხედველო კაპიტალის მოთხოვნებთან.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს გამყარებული კაპიტალის პოზიცია, მათ შორის ეროვნულ ვალუტაში არსებული აქტივების უფრო მაღალი წილი, და სრულად აკმაყოფილებს ყველა მოქმედ მარეგულირებელ მოთხოვნას.

სადაზღვევო რისკი

სადაზღვევო ხელშეკრულების რისკი არის რისკი, რომ დადგება გაურკვეველი ოდენობის და ვადის სადაზღვევო შემთხვევა. ძირითადი რისკი, რომელიც დგას კომპანიის წინაშე ასეთი ხელშეკრულებების პირობებში არის ის, რომ ფაქტობრივი ზარალები აღემატება სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ოდენობას. ამაზე გავლენას ახდენს ზარალების სიხშირე, ზარალების სიმძიმე, ფაქტობრივად გადახდილი ანაზღაურება მეტია თავდაპირველად შეფასებულზე და შემდგომ გრძელვადიანი ზარალების განვითარება.

რისკების ცვალებადობის გაუმჯობესება ხდება ზარალის რისკის დივერსიფიკაციით სადაზღვევო ხელშეკრულებების დიდ პორტფელზე, ვინაიდან, რაც უფრო მეტად დივერსიფიცირებულია პორტფელი, მით ნაკლებად სავარაუდოა საერთო ზეგავლენა პორტფელის რაიმე ნაწილის ცვლილების გამო, ასევე, მოულოდნელი შედეგები. რისკების ცვალებადობის გაუმჯობესება ასევე ხდება სადაზღვევო სტრატეგიისა და ხელმძღვანელი მითითებების ფრთხილად შერჩევითა და განხორციელებით, აგრეთვე გადაზღვევის ხელშეკრულებების გამოყენებით. კომპანია ადგენს სადაზღვევო სახელმძღვანელო მითითებებსა და ლიმიტებს, რომლებიც განსაზღვრავს, ვინ რა რისკი შეიძლება მიიღოს და გამოსაყენელ ლიმიტებს. ხორციელდება ამ ლიმიტების მუდმივი მონიტორინგი.

კომპანია ძირითადად გაცემს შემდეგი სახის არასიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებს: ქონების, საზღვაო ტრანსპორტის, ტვირთების, მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის, საზღვაო ტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის, თავდებობის, სამოგზაურო, სახმელეთო ტრანსპორტის, უბედური შემთხვევისგან, ავტომფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის, ფინანსური რისკების და სამედიცინო (ჯანმრთელობის). ამ პოლისებიდან გამომდინარე რისკები, როგორც წესი, თორმეტთვიან პერიოდს ფარავს.

არასიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები გამომდინარეობს კლიმატური ცვლილებებიდან და ბუნებრივი კატასტროფებიდან. ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულებებისთვის კი ყველაზე არსებითი რისკები დაკავშირებულია ცხოვრების წესის ცვლილებებთან, ეპიდემიებთან და ა.შ. ეს რისკები მნიშვნელოვნად განსხვავდება კომპანიის მიერ დაზღვეული რისკის ადგილმდებარეობის, ტიპისა და დარგის მიხედვით. თანხობრივმა გადაჭარბებულმა კონცენტრაციამ შესაძლოა დამატებითი გავლენა იქონიოს პორტფელის დონეზე გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურებების სიდიდეზე.

სადაზღვევო რისკის მართვა

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ზემოთ აღნიშნული რისკის დონე მცირდება სადაზღვევო კონტრაქტების პორტფელის დივერსიფიკაციით. რისკი ნეიტრალდება ასევე ანდერრაიტინგის სტრატეგიის ფრთხილი შერჩევითა და დანერგვით, რომელიც უზრუნველყოფს რისკების დაყოფას სახეობებისა და სადაზღვევო თანხების მიხედვით. ეს მიიღწევა ინდუსტრიების მიხედვით დაყოფის გზით. გარდა ამისა, ზარალის განხილვის მკაცრი პოლიტიკა ყველა ახალი და მიმდინარე ზარალის შესაფასებლად, ზარალების დარეგულირების პროცედურების რეგულარული დეტალური განხილვა და შესაძლო თაღლითური ზარალების ხშირი გამოძიება წარმოადგენს კომპანიის რისკების დონის შემცირების პროცედურებს. კომპანია იყენებს ასევე ზარალების მართვისა და დარეგულირების პოლიტიკას, რათა შეამციროს მომავალი გაუთვალისწინებელი მოვლენების უარყოფითი გავლენა მის საქმიანობაზე. კომპანია ასევე ზღუდავს რისკის დონეს გარკვეულ კონტრაქტებზე ზარალის მაქსიმალური სიდიდის დაწესებით, ასევე გადაზღვევის შეთანხმებების გამოყენებით, რათა შეამციროს კატასტროფულ მოვლენებთან დაკავშირებული რისკი, მაგალითად, ქარიშხლით, მიწისძვრითა და წყალდიდობით გამოწვეული ზარალები.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია, მიმდინარე პერიოდში რეზერვების შექმნისას, არ ეყრდნობა პირდაპირ ანალიზს და სადაზღვევო რეზერვებს ქმნის საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სადაც ზუსტად არის განსაზღვრული, თუ რა ტიპის რეზერვი უნდა შეიქმნას და რა რაოდენობით, შექმნილი რეზერვები წარმოშობილი ზარალების ადეკვატურია.

ქვემოთ მოცემული ცხრილები აჩვენებს წმინდა სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებების განაწილებას ხელშეკრულების ტიპების მიხედვით

| 2025 | სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები | გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები | წმინდა სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები |
|---------------------------------------|---|---|--|
| სამედიცინო დაზღვევა | 681,886 | - | 681,886 |
| ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა | 474,196 | 986,984 | (512,789) |
| სავალდებულო დაზღვევა | 295,704 | - | 295,704 |
| ფინანსური რისკების დაზღვევა | (792,206) | - | (792,206) |
| პასუხისმგებლობის დაზღვევა | 359,699 | 106,882 | 252,818 |
| კონტეინერების დაზღვევა | 430 | - | 430 |
| ტვირთების დაზღვევა | 181,622 | 87,012 | 94,610 |
| ქონების დაზღვევა | 118,441 | 94,497 | 23,945 |
| სამოზგაურო დაზღვევა | 52,213 | - | 52,213 |
| დისკონტირების ეფექტი | 300,146 | (61,748) | 361,894 |
| სულ | 1,672,131 | 1,213,626 | 458,505 |

| 2024 | სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები | გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები | წმინდა სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები |
|---------------------------------------|---|---|--|
| სამედიცინო დაზღვევა | 661,090 | - | 661,090 |
| ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა | 1,657,081 | 1,296,412 | 360,670 |
| სავალდებულო დაზღვევა | 199,977 | - | 199,977 |
| ფინანსური რისკების დაზღვევა | 237,427 | - | 237,427 |
| პასუხისმგებლობის დაზღვევა | (5,420) | 173,228 | (178,648) |
| კონტეინერების დაზღვევა | (15,154) | - | (15,154) |
| ტვირთების დაზღვევა | 60,551 | 3,443 | 57,109 |
| ქონების დაზღვევა | 151,191 | 59,306 | 91,885 |

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

| | | | |
|----------------------|------------------|------------------|----------------|
| სამოზგაურო დაზღვევა | (2,110) | - | (2,110) |
| დისკონტირების ეფექტი | (129,313) | (28,911) | (100,402) |
| სულ | 2,815,321 | 1,503,478 | 942,097 |

განუსაზღვრელობების საფუძველი მომავალში ასანაზღაურებელი ზარალების შეფასებისას

სადაზღვევო გარიგებებთან დაკავშირებული ზარალების გადახდის ვალდებულება წარმოიშობა მათი ფაქტიურად მოხდენის მომენტში. არსებობს რამდენიმე ცვლადი, რომელიც გავლენას ახდენს სადაზღვევო გარიგებების შედეგად წარმოშობილი ფულადი ნაკადების მოცულობასა და დროულობაზე. ეს განუსაზღვრელობები ძირითადად უკავშირდება დაზღვეული სექტორის თანდაყოლილ, შიდა რისკს და კომპანიის მიერ მიღებულ და განხორციელებულ რისკის მართვის პროცედურებს. ზარალების შეფასებული ღირებულება მოიცავს ზარალების დაფარვისთვის საჭირო პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც შემცირებულია მესამე მხარის მიერ გადასახდელი თანხებით. კომპანია ყველანაირად ცდილობს, დარწმუნდეს, რომ მას გააჩნია საკმარისი ინფორმაცია სადაზღვევო ზარალების წარმოშობის შესახებ. სადაზღვევო გარიგებებთან დაკავშირებული ვალდებულება მოიცავს მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვს, და განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვს.

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის შეფასება, როგორც წესი, დაკავშირებულია მთელ რიგ განუსაზღვრელობებთან, განსხვავებით იმ ზარალების ღირებულების შეფასებისგან, რომელთა შესახებაც კომპანიას ინფორმაცია აქვს.

ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია შეფასებულ ზარალებს ტესტავს ადეკვატურობაზე: კომპანია განსაზღვრავს, ზარალების შეფასებული ვალდებულებები არის თუ არა ნაკლები იმ საბალანსო ღირებულებაზე, რომელიც მოთხოვნილი იქნებოდა, თუ შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულებები მოხვდებოდა ბასს 37-ის ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები მოქმედების სფეროში, თუ შეფასებული ვალდებულებები ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად შექმნილ ანარიცხებზე ნაკლები აღმოჩნდა, მაშინ კომპანია მთელ სხვაობის თანხას აღიარებს მოგება-ზარალში და გაზრდის შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას.

ზარალიანობის კოეფიციენტები მიმდინარე და წინა წლისთვის, გადაზღვევის დაწყებამდე და შემდეგ შეჯამებულია ქვემოთ:

| რისკი | 31 დეკემბერი 2025 | | 31 დეკემბერი 2024 | |
|-------|-----------------------------|----------------------------|-----------------------------|----------------------------|
| | მთლიანი ზარალის კოეფიციენტი | წმინდა ზარალის კოეფიციენტი | მთლიანი ზარალის კოეფიციენტი | წმინდა ზარალის კოეფიციენტი |
| | ზოგადი დაზღვევა | 78% | 95% | 91% |

მთლიანი ზარალის კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგნაირად: სადაზღვევო მომსახურების ხარჯები / სადაზღვევო ამონაგენი და წმინდა ზარალის კოეფიციენტი გამოითვლება სადაზღვევო მომსახურების ხარჯები + გადაზღვევის მომსახურების ხარჯები / სადაზღვევო ამონაგები + შემოსავალი გადაზღვევის ხელშეკრულებიდან.

შესრულებულ სიმულაციებზე დაყრდნობით, მოგებაზე ზარალის კოეფიციენტის 1%-იანი ცვლილების გავლენა, როგორც მთლიანი, ასევე გადაზღვევის ანაზღაურების გარეშე, იქნება შემდეგი:

| | 2025 | | 2024 | |
|---|----------|---------|----------|---------|
| | მთლიანი | წმინდა | მთლიანი | წმინდა |
| ზარალის კოეფიციენტის 1%-იანი ზრდის გავლენა | (25,174) | 6,799 | (10,327) | (3,026) |
| ზარალის კოეფიციენტის 1%-ით შემცირების გავლენა | 25,174 | (6,799) | 10,327 | 3,026 |

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სენსიტიურობის ანალიზი გამოითვლება სადაზღვევო მომსახურების შედეგი გადაზღვევამდე x 1%, ხოლო წმინდა ხარჯი გადაზღვევის კონტრაქტებიდან x 1%.

შემდგომი ცხრილები ასახავს მომხდარი ზარალების შეფასებას, რომელიც მოიცავს როგორც მომხრად ზარალებს ასევე IBNR-ს, თითოეული შემთხვევის წლისთვის, გადახდებთან ერთად.

ფასს 17-ის მოთხოვნების შესაბამისად, ზარალების რეზერვის დადგენისას კომპანია ითვალისწინებს იმის ალბათობასა და მასშტაბს, რომ მომავალი ფაქტობრივი შედეგები შეიძლება იმაზე უფრო არახელსაყრელი აღმოჩნდეს, ვიდრე ეს დაშვებული იყო, რაც აისახება კიდევ რისკის კორექტირებაში. ზოგადად, ზარალების დარეგულირების საბოლოო ღირებულებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა ყველაზე დიდია მაშინ, როდესაც ზარალი განვითარების საწყის ეტაპზეა. ზარალების განვითარებასთან ერთად, მათი საბოლოო ღირებულება უფრო მეტად განსაზღვრული ხდება.

16.2. ფინანსური რისკები

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. კომპანია ექვემდებარება მხოლოდ სავალუტო რისკს საბაზრო რისკის ძირითადი სამი კომპონენტიდან.

აღნიშნული რისკების ეფექტური მართვისთვის, კომპანია ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და საფასო რისკების მინიმიზაცია ყველა სახის ტრანზაქციებზე;
- „ბუნებრივი ჰეჯირების“ მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნების და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებაში;
- ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებები ხორციელდება გონივრულად და თანმიმდევრულად, ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის მიერ გამოყენებული ფინანსური აქტივების, სადაზღვევო აქტივების, ფინანსური ვალდებულებებისა და სადაზღვევო ვალდებულებებს კატეგორიების მიხედვით.

| | 31 დეკემბერი 2025 | 31 დეკემბერი 2024 |
|---|-------------------|-------------------|
| აქტივები სადაზღვევო კონტრაქტებიდან | | |
| გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები | 1,213,626 | 1,503,478 |
| ფინანსური აქტივები | | |
| სხვა აქტივები | 111,015 | 99,575 |
| საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები | 8,532,353 | 9,217,893 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 573,379 | 327,593 |
| სულ სადაზღვევო და ფინანსური აქტივები | 10,430,373 | 11,148,539 |
| სადაზღვევო ვალდებულებები | | |
| ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან | 1,672,131 | 2,815,321 |
| ფინანსური ვალდებულებები | | |

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

| | | |
|--|------------------|------------------|
| საიჯარო ვალდებულებები | 911,876 | 915,708 |
| სხვა ვალდებულებები | 461,981 | 642,920 |
| სულ სადაზღვევო და ფინანსური ვალდებულებები | 3,045,988 | 4,373,949 |

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი გულისხმობს რისკს, რომ კონტრაგენტი ვერ შეასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს, რაც გამოიწვევს კომპანიის ფინანსურ ზარალს.

ძირითადი სფეროები, სადაც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს:

- სადაზღვევო აქტივები
- სხვა მოთხოვნები;
- საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები - დავალიანება;
- საბანკო დეპოზიტები სამ თვეზე მეტი ვადით;
- ნორმატიული ანაბარი; და
- ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები

კომპანიამ დანერგა კრედიტუნარიან კონტრაგენტებთან ურთიერთობის პოლიტიკა, ფინანსური ზარალის რისკის შესამცირებლად. კომპანიის მდგომარეობა და მისი კონტრაგენტების საკრედიტო რეიტინგები მუდმივად კონტროლდება და ტრანზაქციების ჯამური ღირებულება ვრცელდება დამტკიცებულ კონტრაგენტებს შორის. საკრედიტო მდგომარეობა კონტროლდება კონტრაგენტების ლიმიტებით, რომლებიც ყოველწლიურად განიხილება და მტკიცდება მენეჯმენტის მიერ.

გადაზღვევა გამოიყენება სადაზღვევო რისკის მართვისთვის. თუმცა, ეს არ ათავისუფლებს კომპანიის, როგორც ძირითადი მზღვეველის პასუხისმგებლობას. თუ გადამზღვევი რაიმე მიზეზით ვერ გადაიხდის ზარალს, კომპანია რჩება პასუხისმგებელი დაზღვეულის წინაშე გადახდაზე. გადამზღვეველთა კრედიტუნარიანობა განიხილება ყოველწლიურად მათი ფინანსური სიძლიერის გადახედვით ნებისმიერი ხელშეკრულების დასრულებამდე.

რეგულარული ბიზნესი. ცალკეული კონტრაგენტების მიმართ ზემოქმედება ასევე იმართება სხვა მექანიზმებით, როგორც კომპენსაციის უფლება, სადაც კონტრაგენტები არიან კომპანიის მოვალეებიც და კრედიტორებიც. კომპანიისთვის წარდგენილი მენეჯმენტის ინფორმაცია მოიცავს დეტალებს სადაზღვევო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვებისა და შემდგომ ჩამოწერის შესახებ. ცალკეულ დაზღვეულებთან და დაზღვეულთა ჯგუფებთან კონტაქტები გროვდება კონტროლის მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში. როდესაც არსებობს ცალკეული დაზღვეულის ან დაზღვეულის მფლობელთა ჰომოგენური ჯგუფის მნიშვნელოვანი ზემოქმედება, გადამზღვეველებისთვის ჩატარებული ფინანსური ანალიზის ექვივალენტი ხორციელდება კომპანიის მიერ.

სადაზღვევო დებიტორული დავალიანება შედგება კლიენტების დიდი ოდენობისგან, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა ინდუსტრიებსა და გეოგრაფიულ ზონებში. მუდმივად ხორციელდება დებიტორული მოთხოვნების საკრედიტო შეფასება.

კომპანიას არ გააჩნია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია, რისკი განაწილებულია კონტრაგენტებისა და კლიენტების დიდ რაოდენობაზე. კომპანია განსაზღვრავს კონტრაგენტებს, როგორც მსგავსი მახასიათებლების მქონეს, თუ ისინი დაკავშირებული კომპანიები არიან. ლიკვიდურ სახსრებზე საკრედიტო რისკი შეზღუდულია, რადგან

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კონტრაგენტები არიან ბანკები მაღალი საკრედიტო რეიტინგებით, რომლებიც მინიჭებულია საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგის სააგენტოების მიერ.

ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელიც შემცირებულია გაუფასურების ზარალით, წარმოადგენს კომპანიის მაქსიმალურ ზემოქმედებას საკრედიტო რისკზე.

მაქსიმალური საკრედიტო რისკი, რომელსაც კომპანია ექვემდებარება, მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| | 31 დეკემბერი 2025 | 31 დეკემბერი 2024 |
|---|-------------------|-------------------|
| აქტივები სადაზღვევო კონტრაქტებიდან | | |
| გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები | 1,213,626 | 1,503,478 |
| ფინანსური აქტივები | | |
| სხვა აქტივები | 111,015 | 99,575 |
| საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები | 8,532,353 | 9,217,893 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 573,379 | 327,593 |
| სულ სადაზღვევო და ფინანსური აქტივები | 10,430,373 | 11,148,539 |

ლიკვიდურობის რისკი - დაფარვის ანალიზი

ლიკვიდურობის რისკის მართვაზე საბოლოო პასუხისმგებლობა ეკისრება დირექტორთა საბჭოს, რომელმაც შექმნა ლიკვიდობის რისკის მართვის შესაბამისი ჩარჩო კომპანიის მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი დაფინანსებისა და ლიკვიდობის მართვის მოთხოვნების მართვისთვის. კომპანია მართავს ლიკვიდურობის რისკს ადეკვატური რეზერვების შენარჩუნებით პროგნოზული და რეალური ფულადი ნაკადების მუდმივი მონიტორინგით და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის პერიოდების შესაბამისობით.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჯამებს კომპანიის სადაზღვევო და ფინანსური ინსტრუმენტების დაფარვის პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტების სახელშეკრულებო ვადები განისაზღვრა ანგარიშგების თარიღიდან სახელშეკრულებო დაფარვის თარიღამდე დარჩენილი პერიოდის საფუძველზე. დაფარვის პერიოდებს აკონტროლებს მენეჯმენტი, რათა უზრუნველყოფილი იყოს ადეკვატური ლიკვიდურობა. საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების დაფარვის პოზიცია შემდეგი იყო:

კომპანია მართავს ლიკვიდურობის რისკს მოსალოდნელი დაფარვის თარიღების საფუძველზე.

ლიკვიდურობის მდგომარეობა 2025 წლის 31 დეკემბრისთვის:

| 31 დეკემბერი 2025 | 1 წლამდე | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | სულ |
|---|-------------------|----------------|--------------|-------------------|
| აქტივები სადაზღვევო კონტრაქტებიდან | | | | |
| გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები | 1,213,589 | 37 | - | 1,213,626 |
| ფინანსური აქტივები | | | | |
| სხვა აქტივები | 111,015 | - | - | 111,015 |
| საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები | 8,532,353 | - | - | 8,532,353 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 573,379 | - | - | 573,379 |
| სულ სადაზღვევო და ფინანსური აქტივები | 10,430,336 | 37 | - | 10,430,373 |
| სადაზღვევო ვალდებულებები | | | | |
| ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან | 1,667,788 | 4,343 | - | 1,672,131 |
| ფინანსური ვალდებულებები | | | | |
| საიჯარო ვალდებულებები | 710,407 | 201,469 | - | 911,876 |
| სხვა ვალდებულებები | 461,981 | - | - | 461,981 |

სს „სადაზღვეო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

| | | | | |
|---|------------------|------------------|----------|------------------|
| სულ სადაზღვეო და ფინანსური ვალდებულებები | 2,840,176 | 205,812 | - | 3,045,988 |
| წმინდა პოზიცია | 7,590,160 | (205,775) | - | 7,384,385 |

ლიკვიდურობის მდგომარეობა 2024 წლის 31 დეკემბრისთვის:

| 31 დეკემბერი 2024 | 1 წლამდე | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | სულ |
|---|-------------------|-----------------------|---------------------|-------------------|
| აქტივები სადაზღვეო კონტრაქტებიდან | | | | |
| გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები | 1,502,671 | 807 | - | 1,503,478 |
| ფინანსური აქტივები | | | | - |
| სხვა აქტივები | 99,575 | - | - | 99,575 |
| საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები | 8,853,009 | 364,884 | - | 9,217,893 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 327,593 | - | - | 327,593 |
| სულ სადაზღვეო და ფინანსური აქტივები | 10,782,848 | 365,691 | - | 11,148,539 |
| სადაზღვეო ვალდებულებები | | | | - |
| ვალდებულებები სადაზღვეო კონტრაქტებიდან | 2,779,420 | 35,901 | - | 2,815,321 |
| ფინანსური ვალდებულებები | | | | - |
| საიჯარო ვალდებულებები | 747,100 | 168,608 | - | 915,708 |
| სხვა ვალდებულებები | 642,920 | - | - | 642,920 |
| სულ სადაზღვეო და ფინანსური ვალდებულებები | 4,169,440 | 204,509 | - | 4,373,949 |
| წმინდა პოზიცია | 6,613,408 | 161,182 | - | 6,774,590 |

დღეისათვის კომპანია ელოდება ყველა ვალდებულების გადახდას სახელშეკრულებო ვადის გასვლისას. ასეთი ფულადი ვალდებულებების შესასრულებლად, კომპანია მოელის, რომ საოპერაციო საქმიანობა გამოიმუშავებს საკმარის ფულად სახსრებს.

გარანტიის ხელშეკრულებები სათანადოდ არის უზრუნველყოფილი.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები მერყეობდეს საბაზრო ფასების ცვლილების შედეგად, იქნება ეს ცვლილებები გამოწვეული ცალკეული ფასიანი ქაღალდების, ან მისი ემიტენტის სპეციფიკური ფაქტორებით, ან ყველა ფასიანი ქაღალდზე ზემოქმედების ფაქტორებით. კომპანიის საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტაში (ბ) საპროცენტო და (გ) საფასო რისკის აქტივებსა და ვალდებულებებში, იმ ზომით რამდენადაც ისინი ექვემდებარება ბაზრის ზოგად და კონკრეტულ ცვლილებებს. მენეჯმენტი ადგენს ლიმიტებს სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკებზე, რომლებიც შეიძლება იყოს მისაღები, რომლებიც რეგულარულად კონტროლდება. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება ხელს არ უშლის დანაკარგებს ამ ლიმიტების მიღმა ბაზრის უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში. ერთეულთან დაკავშირებული კონტრაქტები არ იქნა გათვალისწინებული საბაზრო რისკის მგრძობელობის გამო და რადგან ისინი მხოლოდ კონტრაქტებშია გადაცემული.

ქვემოთ მოყვანილი საბაზრო რისკებისადმი მგრძობელობა ეფუძნება ერთი ფაქტორის ცვლილებას, ხოლო ყველა სხვა ფაქტორს უცვლელად დარჩენას. პრაქტიკაში, ეს ნაკლებად სავარაუდოა, და ზოგიერთი ფაქტორის ცვლილება შეიძლება იყოს კორელაციური - მაგალითად, საკრედიტო სპრედი, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება და უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება.

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საბაზრო რისკის ფაქტორები მოიცავს კაპიტალის ფასებს, საკრედიტო სპრედებს, სავალუტო კურსებს და საპროცენტო განაკვეთებს. კომპანია ზღუდავს საბაზრო რისკს დივერსიფიცირებული პორტფელის შენარჩუნებით და ადგილობრივ კაპიტალისა და ობლიგაციების ბაზრებზე განვითარებული მოვლენების მუდმივი მონიტორინგით. გარდა ამისა, კომპანია აქტიურად აკონტროლებს ძირითად ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ აქციების და ობლიგაციების ბაზრის მოძრაობაზე, მათ შორის ინვესტიციის მონაწილეთა საოპერაციო და ფინანსური საქმიანობის ანალიზს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები წარმოშობს სავალუტო რისკის პოზიციას. კომპანიას არ გააჩნია სავალუტო რისკის მართვის რაიმე ოფიციალური პროცედურა, თუმცა ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იგი კარგად არის ინფორმირებული ეკონომიკაში არსებული ტენდენციების შესახებ და გადადგა ნაბიჯები სავალუტო რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

ფინანსური აქტივები ვალუტების მიხედვით 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

| 31 დეკემბერი 2025 | ლარი | დოლარი | ევრო | სულ |
|--|------------------|------------------|-----------------|-------------------|
| აქტივები სადაზღვევო კონტრაქტებიდან | | | | |
| გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები | 40,268 | 1,206,166 | (32,808) | 1,213,626 |
| ფინანსური აქტივები | | | | |
| სხვა აქტივები | 111,015 | - | - | 111,015 |
| საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები | 3,636,340 | 4,896,013 | - | 8,532,353 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 223,066 | 350,314 | - | 573,379 |
| სულ სადაზღვევო და ფინანსური აქტივები | 4,010,688 | 6,452,493 | (32,808) | 10,430,374 |
| სადაზღვევო ვალდებულებები | | | | |
| ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან | 1,078,293 | 577,235 | 16,603 | 1,672,131 |
| ფინანსური ვალდებულებები | | | | |
| საიჯარო ვალდებულებები | - | 911,876 | - | 911,876 |
| სხვა ვალდებულებები | 461,981 | - | - | 461,981 |
| სულ სადაზღვევო და ფინანსური ვალდებულებები | 1,540,274 | 1,489,111 | 16,603 | 3,045,988 |
| წმინდა პოზიცია | 2,470,414 | 4,963,382 | (49,411) | |

ფინანსური აქტივები ვალუტების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| 31 დეკემბერი 2024 | ლარი | დოლარი | ევრო | სულ |
|---|------------------|------------------|-----------------|-------------------|
| აქტივები სადაზღვევო კონტრაქტებიდან | | | | |
| გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები | 93,090 | 1,445,034 | (34,647) | 1,503,478 |
| ფინანსური აქტივები | | | | |
| სხვა აქტივები | 99,575 | - | - | 99,575 |
| საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები | 1,294,272 | 7,923,621 | - | 9,217,893 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 319,951 | 7,642 | - | 327,593 |
| სულ სადაზღვევო და ფინანსური აქტივები | 1,806,888 | 9,376,297 | (34,647) | 11,148,539 |
| სადაზღვევო ვალდებულებები | | | | |
| ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან | 4,400,832 | (1,548,270) | (37,241) | 2,815,321 |

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

| | | | | |
|---|--------------------|-------------------|-----------------|------------------|
| ფინანსური ვალდებულებები | | | | - |
| საიჯარო ვალდებულებები | - | 915,708 | - | 915,708 |
| სხვა ვალდებულებები | 642,920 | - | - | 642,920 |
| სულ სადაზღვეო და ფინანსური ვალდებულებები | 5,043,752 | (632,562) | (37,241) | 4,373,949 |
| წმინდა პოზიცია | (3,236,864) | 10,008,859 | 2,594 | |

მგრძობელობის ანალიზი

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის წმინდა პოზიცია აშშ დოლარში (კომპანიის ძირითადი უცხოური ვალუტა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ შეადგენდა 4,963,382 ლარს (2024: 10,008,859 ლარი).

ლარის 10%-იანი გამყარება ან გაუფასურება აშშ დოლართან მიმართებაში, ყველა სხვა ცვლადის უცვლელად შენარჩუნებით, გამოიწვევდა მოგების ზრდას ან შემცირებას 496,338 ლარით 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2024: 1,000,885 ლარი).

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება.

თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

კომპანია ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებები საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის რეალური ღირებულება განისაზღვრა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის. საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები დადისკონტირებულია იმ საპროცენტო განაკვეთით, რომლითაც კომპანიას განთავსებული აქვს ისინი. ფული და ფულის ექვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

2025 და 2024 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში.

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებს შორის თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის ეკონომიკურ შინაარსს და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. კომპანიასა და სხვა დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციების დეტალები განმარტებულია ქვემოთ.

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი თანხები, რომლებიც აღიარებულ იქნა დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ოპერაციებში:

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან მოცემულია ქვემოთ:

| | 2025 | 2024 |
|---|--|--|
| მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება | ოპერაციები/ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან | ოპერაციები/ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან |
| შრომის ანაზღაურება და სხვა გასამრჯელო | | |
| უმალესი ხელმძღვანელობა | 464,396 | 508,462 |
| საკომისიო შემოსავალი | | |
| უმალესი ხელმძღვანელობა | 816 | 122 |
| სხვა ხარჯები | | |
| უმალესი ხელმძღვანელობა | 5,786 | 11,820 |

20. პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ჩართულია რამდენიმე სასამართლო დავაში, რომლებიც წარმოშობილია მისი ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში. სასამართლო წარმოებაში არსებული სარჩელების მთლიანმა თანხამ 677,139 ლარი შეადგინა (2024 წელს: 659,881 ლარი).

ხელმძღვანელობამ, კომპანიის იურიდიულ დეპარტამენტთან კონსულტაციის საფუძველზე, თითოეული საქმე ინდივიდუალურად შეაფასა - წარმოების სტატუსის, სამართლებრივი საფუძვლიანობისა და არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით. ამ შეფასებაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ მხოლოდ გარკვეული სარჩელები აკმაყოფილებს ბასს 37-ით გათვალისწინებულ ანარიცხის (რეზერვის) აღიარების კრიტერიუმებს. შესაბამისად, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულია 103,620 ლარის ოდენობის ანარიცხი.

დარჩენილ სარჩელებთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობამ ეკონომიკური რესურსების გადინების ალბათობა შეაფასა როგორც შესაძლებელი და არა მოსალოდნელი. შესაბამისად, ეს სარჩელები არ არის აღიარებული ვალდებულებებად, არამედ გამყდავენებულია პირობითი ვალდებულებების სახით. ასეთი პირობითი ვალდებულებების მთლიანი თანხა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 573,519 ლარს შეადგენს (2024 წელს: 659,881 ლარი).

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ საკითხების საბოლოო გადაწყვეტას არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

მარეგულირებლის მოთხოვნები

კომპანია საქმიანობს რეგულირებად სადაზღვევო სფეროში და ექვემდებარება საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ზედამხედველობას, მათ შორის, მარეგულირებლის მიერ დადგენილ საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

საანგარიშგებო პერიოდში, კომპანიამ გამოავლინა საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნის დროებითი დარღვევა 2024 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით, რის გამოც მარეგულირებელმა 2025 წლის თებერვალში დააკისრა ადმინისტრაციული ჯარიმა (იხ. შენიშვნა 7). მიუხედავად იმისა, რომ კომპანიამ შემდგომში აღადგინა შესაბამისობა

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოქმედ საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნებთან, მარეგულირებელი ინარჩუნებს უფლებამოსილებას, დააწესოს დამატებითი სანქციები ან ჯარიმები მომავალში მარეგულირებელი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.

ხელმძღვანელობა უწყვეტად აკონტროლებს საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნებთან შესაბამისობას და მიიჩნევს, რომ კომპანია ინარჩუნებს კაპიტალის ადეკვატურ დონეს მისი მიმდინარე საქმიანობის მხარდასაჭერად. თუმცა, როგორც ნებისმიერი რეგულირებადი სუბიექტის შემთხვევაში, არსებობს ალბათობა იმისა, რომ მარეგულირებელმა მომავალში დააწესოს დამატებითი ჯარიმები ან სანქციები, თუკი მარეგულირებელი მოთხოვნები არ იქნება დაკმაყოფილებული. საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობისთვის უცნობია კომპანიის წინააღმდეგ ინიცირებული რაიმე დამატებითი მარეგულირებელი ქმედების შესახებ.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ხელმძღვანელობამ შეაფასა საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე. 2025 წლის 31 დეკემბრის შემდეგ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც მოითხოვდა კორექტირებას ან გამჟღავნებას თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტ 10-ის შესაბამისად.